პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის
ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი

წევრები:

ელენე კაკაბაძე

თამარ ახალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **404409261**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის ბრძანების (№1151432, 23.09.2022 წ; №1193443 30.09.2022 წ.) საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

პსდ-ში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 18, 19, 20 ოქტომბერს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე), ელენე კაკაბაძე (წევრი), დარგის ექსპერტი - თამარ ახალაძე (წევრი).

ვიზიტამდე ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან თვითშეფასების კითხვარი თანდართული დოკუმენტაციით და პსდ-ს ვებ-გვერდი. ექსპერტთა მიერ დაიგეგმა ვიზიტი, ასევე, კონკრეტულ პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება, რაც დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ 5.2.2. კომპონენტთან (ინდიკატორი 2), კერძოდ ელექტრონული საქმისწარმოების სისტემასთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიმოწერა და მათ შორის თანხმობის წერილი ხელშეკრულების პროექტთან ერთად, ელექტრონული საქმისწარმოების ერთიან სისტემაში პსდ-ის 3 მომხამრებლის ჩართვასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ექსპერტთა მიერ, კომპონენტი შეფასდა დადებითად. პსდ-ის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი იყო, უკვე ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულება ელექტრონული საქმისწარმოების ერთიან სისტემაში ჩართვის შესახებ.

განხორციელებული ვიზიტისა და ფაქტორბრივი გარემოებების შედეგად, დაწესებულების საქმიანობა პსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

პსდ-ში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების მიერ ბოლო ვიზიტი განხორციელდა 2019 წელს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა პსდ-ს მიერ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა პსდ-ს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ფორმულირებას, რაც დაწესებულების მიერ შესრულებულია (ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესი (09.12.2021), მუხლი 3. კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები).

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში, გაცემული იქნა რეკომენდაციები შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით. ექსპერტთა დასკვნით სასურველია:

სტანდარტი 1 - კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1.1 (3) - პსდ-ს ხედვა იყოს კონკრეტული, გაზომვადი და დროში განსაზღვრული.

1.1.1.(4) - პსდ-მ განსაზღვროს გარე დაინტერესებული მხარეები (შედგეს დაინტერესებული მხარეების რეესტრი), რომლებთანაც მოხდება სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების პროექტების შეთანხმება.

1.2.1 (1) - პსდ-მ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის/დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზაცია უზრუნველყოს საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად.

1.2.1 (3) - სამოქმედო გეგმებში გაიმიჯნოს შესრულების მტკიცებულებები ინდიკატორისგან. შესრულების ინდიკატორები გახდეს გაზომვადი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

1.2.2.(1) - ანგარიშებში უზრუნველყოს სამოქმედო გეგმების შესრულების რაოდენობრივი/ხარისხობრივი მაჩვენებლები და შედეგების ეფექტურობის ანალიზი. ასევე სასურველია ანგარიშში აისახოს შეფასების ეტაპისთვის პსდ-ს საქმიანობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების ანალიზის შედეგები.

სტანდარტი 3 – პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1.1. (1) - პსდ-ში ჩარიცხვის პროცედურის მართვისა და პროცესების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, პსდ-მ სრულად ასახოს კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებულ შესაძლო პროცესებთან დაკავშირებული პროცედურები.

3.1.1.(4) კორექტირდეს შინაგანაწესი და კანონიერი წარმომადგენლის მიმართ დადგენილი მოთხოვნები გაიწეროს უშუალოდ ხელშეკრულებაში ან შემუშავდეს ცალკე პროცედურა.

3.2.2.(1) - გადაიხედოს პსდ-ს დებულების შესაბამისი პუნქტი/პუნქტები და სრულად აისახოს პერსონალის პოზიციების/შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ფუნქციები/მოვალეობები.

სტანდარტი 4 –ადამიანური რესურსები

4.1.1. (1) - შეტანილი იქნეს ცვლილებები სტრუქტურაში. სქემაში აისახოს მხოლოდ პსდ-ს წესდებით/დებულებით განსაზღვრული მართვაზე პასუხისმგებელი პირები/პერსონალი და სტრუქტურული ერთეულები. ასევე, პერსონალის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული საკითხები შემუშავდეს ერთიანი დოკუმენტის/ინსტრუქციის სახით.

სტანდარტი 5 – მატერიალური, საინფორმაციოდა ფინანსური რესურსი

5.1.1. (5) - შრომის უსაფრთხოების შესახებ პროცედურაში, მკვეთრად გამოიყოს შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო/სასწავლო გარემოში რისკების მენეჯმენტის პროცედურა. პსდ-ს მიერ უზრუნველყოფილი იქნეს მოწყობილობების პერიოდული შემოწმება-შეკეთების აღრიცხვა. სამუშაო/სასწავლო ადგილებზე განთავსდეს სამუშაოთა შინაარსის შესაბამისი გამაფრთხილებელი და უსაფრთხოების ნიშნები.

5.1.2. (4) - გაიმიჯნოს შინაგანაწესში პროფესიული სტუდენტებისა და პსდ-ს პერსონალის ქცევისა და შრომითი ურთიერთობების შესახებ დებულებები.

5.2.1.(2) - პსდ-მ უზრუნველყოს IT ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მომსახურებისა და რისკების მართვის დოკუმენტირება (რისკების იდენტიფიცირება/შეფასება, აღმოფხვრისა და პრევენციული ღონისძიებების/გეგმის შემუშავება).

5.2.2.(1) – მატერიალური ფორმით დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალების დამოწმებისას გათვალისწინებული იქნეს ინტერესთა კონფლიქტის პრინციპი.

5.2.2.(3) - პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კურსდამთავრებულების მონაცემებთან აიტვირთოს გაცემული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ელექტრონული ასლები.

5.3.1. (4) - პსდ-ს სამოქმედო გეგმის ანგარიშში აისახოს ზოგადი მონაცემები/პროცენტული მაჩვენებლები ფინანსური ანალიზის/დაფინანსების დინამიკის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

სტანდარტი 2 -საგანმანათლებლო პროგრამები

2.1.1 (1) - კოლეჯმა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას დაურთოს კვლევა ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც უფრო ნათლად აჩვენებს ამ დარგის სპეციალისტების საჭიროებას, დასაქმების შესაძლებლობას და დამსაქმებლების მოთხოვნებს. ასევე საინტერესო იქნება კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისობრივი მონაცემების ანალიზით.

2.1.1. (7) - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარჯები იყოს უფრო დეტალიზებული, მათ შორის გათვალისწინებული იყოს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის და ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ხარჯები.

2.4.1.(5) - პსდ-მ უზრუნველყოს მემორანდუმების საფუძველზე შეთანხმების/ხელშეკრულების გაფორმება პროგრამის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების (დასაშვები კვოტა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოების მოთოხვნები და სხვა) გათვალისწინებით.

2.4.2.(1) - პსდ-ს პროცედურაში „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ - კორექტირდეს გასაჩივრებასთან დაკავშირებული პუნქტები.

რეკომენდაციების დეტალური აღწერა იხ. შესაბამის კომპონენტთან/კრიტერიუმთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, ნათლადაა ჩამოყალიბებული და გასაგებია პერსონალისა და სამიზნე ჯგუფებისთვის. დაწესებულების მისიაა - *„ისეთი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რომელიც, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით, მოამზადებს ეკოლოგიური ცნობიერების მქონე კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც შრომის ბაზარზე გავლენ მოთხოვნად და კონკურენტუნარიან პროფესიონალებად; აღჭურვილი იქნებიან ისეთი ცოდნითა და უნარებით, რომ შეძლონ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა-განვითარება, თვითდასაქმება, საკუთარი ბიზნესის წამოწყება.”*

პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, ორიენტირებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლაზე, განვითარებასა და თვითდასაქმებაზე.

2. დაწესებულების მისიით ნათლადაა განსაზღვრული საქმიანობის პროფილი - სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და ამ დარგში, ეკოლოგიური ცნობიერების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. მისიის თანხმად, დაწესებულება მონოპროფილურია, ორიენტირებულია მხოლოდ ერთ დარგზე, არის ლაკონური, გასაგები და მამოტივირებელი. ნათლად გამოხატავს დაწესებულების იდენტობას.

მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-გან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

3. ***დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.*** პსდ-ს ამბიციაა - *„პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირებისთვის კოლეჯის პროფილის შესაბამისი ახალი სასწავლო პროგრამების შეთავაზება და შესაბამისი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა''*. მისიისა და ხედვის მიღწევისთვის, ასევე საქმიანობის წარმართვისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პრინციპები (ღირებულებები), რომელთა კონტექსტი მოიცავს: *გუნდურობას, პროფესიონალიზმს, პასუხისმგებლობას, სიახლეების მიღებასა და მხარდაჭერას.* პსდ-ს პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით ადგილი ჰქონდა კორპორატიული კულტურის/ღირებულებების დემონსტრირებას.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, რაც ზოგადად სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამების განხორციელებასა და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას გულისხმობს. თუმცა სასურველია, ხედვა იყოს კონკრეტული, უნიკალური შინაარსის, გაზომვადი და დროში განსაზღვრული.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
სასურველია პსდ-ს ხედვა იყოს კონკრეტული, უნიკალური, გაზომვადი და დროში განსაზღვრული.

4. ***მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.*** პსდ-ს შემუშავებული აქვს „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისა და მისი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია", რომელიც სტრატეგიული გეგმის შემუშავების საკითხებთან ერთად დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება-განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის პროცედურებსა და დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების მექანიზმებს აღწერს. მეთოდოგოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მისიის, ხედვისა და ღრებულებების შემუშავებაა (არსებობის შემთხვევაში, გადახედვა). მისიისა და ხედვის შემუშავების/გადახედვის პროცესი პსდ-ში გუნდურად, ორგანიზაციის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით ხდება და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. აღნიშნული საკითხის შეფასებისას დადგინდა, რომ სტრატეგიული დოკუმენტების, მათ შორის, მისიისა და ხედვის შემუშავება, პსდ-ში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობდა, რის დასტურადაც წარმოდგენილი იყო სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის და დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პროფესიულ სტუდენტებთან, ელექტრონული კომუნიკაციის დამადასტურებელი ვიზუალური მასალა, შეხვედრის ოქმები.

პსდ მეთოდოლოგიის თანახმად, მოიაზრებს საჭირეობის შემთხვევაში სხვა დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები თუ სხვა) ჩართვას. სასურველია, დაწესებულებამ განსაზღვროს ყველა გარე დაინტერესებული მხარე, რომლებთანაც მოხდება დოკუმენტის პროექტის შეთანხმება, მის გამოქვეყნებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პსდ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული აქვს დაწესებულების ვებგვერდზე, დაწესებულების კონტენტის დოკუმენტებს მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, თვალსაჩინოდაა განთავსებული ასევე დაწესებულების შენობაში. ***ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პსდ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდ ხელმისაწვდომია.***

<u>**განვითარების რეკომენდაცია:**</u>

სასურველია პსდ-მ განსაზღვროს გარე დაინტერესებული მხარეები (შედგეს დაინტერესებული მხარეების რეესტრი), რომლებთანაც მოხდება სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების პროექტების შეთანხმება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პსდ-ს მისია, ხედვა, ღირებულებები
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №37 "საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის დამტკიცების შესახებ (07.12.2021).
3. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (№01 30.03.2022; №2 08.04.2022; №3 15.04.2022)
4. დაგეგმვის პროცესში სტრატეგიულ დოკუმენტებზე სამუშაო ჯგუფისა და დაინტერესებული მხარეების ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები.
5. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი https://www.dmsk.ge/files/catalog.pdf
6. პსდ-ს ვებგვერდი https://www.dmsk.ge/mission.php
7. პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.** ამ მიზნით პსდ-ს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისა და მისი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილების შეტანისა და გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცედურები. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები, სტრატეგიული გეგმის შემუშავების პერიოდულობა, ეტაპები. დაგეგმარებისას დაწესებულება ითვალისწინებს ისეთ პრინციპებს როგორიცაა გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა, მიზანშეწონილობა, გამჭირვალობა და სოციალური პასუხისმგებლობა. დოკუმენტით დადგენილია ასევე გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შედგენის პროცედურა და შემადგენლობა.

   მეთოდოლოგიის თანახმად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, ხოლო ამ უკანასკნელის მონიტორინგი ხორციელდება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტის თანახმად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხდება წლის ბოლოს, ახალის შემუშავების პროცესში. სასურველია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გადახედვა პსდ-მ უზრუნველყოს „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ მოთხოვნათა შესაბამისად (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №414 01.07.1999 წ. მუხლი 44. დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზაცია).

   ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით, პერსონალთან გასაუბრებით და წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სამუშაო ჯგუფების შექმნის ბრძანებები, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები, დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული მასალა - სამოქმედო გეგმის პროექტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

განხილვის შესახებ, სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ და სხვა) დგინდება, რომ ***დაწესებულება შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად ახორციელებს დაგემგვის პროცესებს***.

დაწესებულებაში დაგეგმვის პრაქტიკის დემონსტრირებად შესაძლებელია ასევე განხილული იქნეს, პსდ-ს ავტორიზაციის სტანდართთან შესაბამისობის გეგმა და მისი დადგენილ ვადებში შესრულების მტკიცებულებები, ხარისხის მენეჯერის წლიური სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე გამომდინარეობს პსდ-ს სტრატეგიული მიზნებიდან და შესასრულებელი ამოცანებიდან.

<u>განვითარების რეკომენდაცია:</u>
სასურველია პსდ-მ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის/დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზაცია უზრუნველყოს „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ***პსდ-ში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.*** დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის თანახმად, პსდ-ს სტრატეგიული დაგეგმარების ერთ-ერთ პრინციპს თანამონაწილეობა და სოციალური პასუხისმგებელობა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებსა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს ითვალისწინებს. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, სამუშაო შეხვედრებზე ხდება რელევანტური დოკუმენტაციის, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების განხილვა და გათვალისწინება. თუმცა დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული დაინტერესებულ მხარეთა ნუსხა, რაც სასურველია, რომ წინასწარ იყოს დადგენილი.

ვიზიტის დროს განხილული იქნა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების დოკუმენტები (მტკიცებულებები): სამუშაო შეხვედრის ოქმები, ჯგუფის წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ელექტრონული კომუნიკაციის დამდასტურებელი მასალა და დოკუმენტები. ამასთან, პსდ-ს წარმომადგენლებთან (პერსონალი, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები) გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ჩართულები იყვნენ დაწესებულების სტრატეგიული მიზნების განსაზღვრასა და დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

შესაბამისად დასტურდება, რომ დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

იხ. ასევე ინდიკატორი 1.1.1. (4) აღწერა და განვითარების რეკომენდაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს - პსდ-ს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა მოიცავს შვიდწლიან პერიოდს (2023-2029) და მოიცავს: დაწესებულების მისიას, ხედვას, ღირებულებებს, SWOT-ანალიზს, კოლეჯის განვითარების ძირითად სტრატეგიულ მიზნებს და მათი მიღწევის კონკრეტულ შესასრულებელ ამოცანებს. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ (პსდ-ს დირექტორის ბრძანება №12, 03.05.2022 წ.) სტრატეგიული მიზნები (სულ 7 მიზანი) და ამოცანები უზრუნველყოფს კოლეჯის როგორც ინსტიტუციური და მატერიალური-ტექნიკური ბაზის, ისე საგანმანათლებლო პროგრამებისა (მ.შ. მომზადება-გადამზადების პროგრამები) და ადამიანური რესურსების მართვის განვითარებას, ასევე ორიენტირებულია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდასა და დასაქმების ხელშეწყობაზე. მიზნები ასევე მოიცავს, დაწესებულების მიერ SWOT მეთოდოლოგიით განსაზღვრულ შიდა და გარე ფაქტორების კვლევის შედეგად გამოვლენილი, სუსტი მხარეების აღმოფხვრისა და განვითარების შესაძლებლობების შესაბამის ამოცანებს.

სტრატეგიული გეგმის მიზნები თავსებადია დაწესებულების მისიასთან, ხოლო განსაზღვრული ამოცანები, შესრულების ვადები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები - რელევანტური. რიგ შემთხვევაში, შესრულების ინდიკატორი უფრო მტკიცებულებაა და შესაბამისად არაა გაზომვადი. ასევე გარკვეული უზუსტობებია სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს შორის, ამასთან ამოცანები მოიცავს ოპერატიულ აქტივობებს ან ისეთ აქტივობებს, რომელთა დადგომის საჭიროებაც შესაძლებელია, რაც მიზანშეწონილია, რომ შეტანილი არ იყოს გეგმებში.

მაგ.: სტრატეგიული მიზანი „ადამიანური რესურსის მართვა“, რომელიც მოიცავს ამოცანებს: „პერსონალის პირადი საქმეების წარმოება“ და „პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოების წარმოება“. სასურველია, პსდ-ს რუტინული და ოპერატიული საქმინობა არ იყოს ასახული სტრატეგულ ან სამოქმედო გეგმებში.

პსდ-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმები დგება სტრატეგიულ გეგმებზე დაყრდნობით. დირექტორის 2022 წლის 10 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული პსდ-ის წლიური სამოქმედო გეგმის ამოცანები შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ გაცხადებულ მიზნებთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. სამოქმედო გეგმის გრაფაში „რესურსები“ მითითებულია - „ადამიანური რესურსი“, „პროგრამის ბიუჯეტი“, სასურველია რესურსი სრულყოფილად იქნეს მითითებული, ხოლო ამოცანათა შესრულებაზე მიეთითოს კონკრეტული პასუხისმგებელი პირები, ისე, როგორც ეს განსაზღვრულია სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ინდიკატორის გრაფაში ფაქტობრივად მითითებულია მხოლოდ შესრულების მტკიცებულებები. პსდ-მ სასურველია უზრუნველყოს მტკიცებულებთან ერთად განსზღვროს გაზომვადი შესრულების ინდიკატორები და მათი ეფექტურობის მაჩვენებლები. რაც ასევე განსაზღვრულია პსდ-ის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით.

პსდ-ის მეთოდოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით სამოქმედო გეგმების შესრულებისთვის დამოუკიდებლად დგება ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა. გეგმების განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულების დამფუძნებლის, საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან, ისე განათლებისა და მეცნიერების სამისნიტროს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შესწავლილი დოკუმენტაციის, ფაქტობრივი გარემოებისა და პსდ-ის პერსონალთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს, შესრულების ინდიკატორებსა და რესურსებს.

<u>**განვითარების რეკომენდაცია:**</u>
სასურველია, სამოქმედო გეგმებში გაიმიჯნოს შესრულების მტკიცებულებები ინდიკატორისგან. შესრულების ინდიკატორები გახდეს გაზომვადი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №37 "საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის დამტკიცების შესახებ" (07.12.2021).
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №12 „საზოგადოებრივი კოლეჯის შვიდწლიანი (2023-2029) სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ" (03.05.2022)
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №1 „საზოგადოებრივი კოლეჯის ახალი საშტატო ნუსხის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და ხარისხის მართვის სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" (10.01.2022).
4. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (№01 30.03.2022; №2 08.04.2022; №3 15.04.2022)
5. დაგეგმვის პროცესში სტრატეგიულ დოკუმენტებზე სამუშაო ჯგუფისა და დაინტერესებული მხარეების ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები.
6. პერსონალთან გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.*** *პსდ-ის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად,* გეგმით გათვალისწინებული მიზნების/ამოცანების შესრულების შეფასება ხდება ყოველწლიურად, წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. შეფასებას ახდენს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, შესაბამის ველში (მიზნებისა და ამოცანების შესრულების მაჩვენებელი/განმარტება) მიუთითებს პასუხისმგებელი პირებისგან მიღებულ ინფორმაციას. სამოქმედო გეგმებში შეტანილი შეფასების ინფორმაცია, მოიცავს მხოლოდ შესრულების დადასტურებას (შესრულდა/არ შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა) ან მოკლე აღწერას, თუმცა არ მოიცავს შესრულების არც რაოდენობრივ და არც ხარისხობრივ მაჩვენებლებს ან შესრულების ეფექტურობის შესახებ ანალიზს (მ.შ. არ შესრულების ან ნაწილობრივი შესრულების მიზეზის), რასაც ითვალისწინებს პსდ-ს მეთოდოლოგიაც.

იხ. ასევე ინდიკატორი 1.2.1. (1) აღწერა და განვითარების რეკომენდაცია.

<u>განვითარების რეკომენდაცია</u>

დაწესებულებამ სასურველია ანგარიშებში უზრუნველყოს სამოქმედო გეგმების შესრულების რაოდენობრივი/ხარისხობრივი მაჩვენებლების და შედეგების ეფექტურობის ანალიზი. ასევე, ანგარიშში ასახოს შეფასების ეტაპისთვის პსდ-ს საქმიანობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების ანალიზის შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. **პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.** შესაბამისი გარემოება პსდ-ში არ დამდგარა, თუმცა ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმი. პსდ-ის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმების მონიტორინგის/შეფასების პროცესში, გამოვლენილი გარემოებების ან დაინტერესებული მხარეების ინიცირების/უკუკავშირის საფუძველზე შესაძლებელია სტრატეგიის დოკუმენტში შეტანილი იქნეს ცვლილებები. ცვლილებების პროექტის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობისა და უკუკავშირისთვის დადგენილია ვადა (1 კვირა). მეთოდოლოგია ითვალისწინებს ასევე არაგეგმიურ გადახედვას/შეფასებას, რომელიც შესაძლებელია ინიცირებული იქნეს პსდ-ის დირექტორის მიერ, შესაბამისი გარემოებების/დასაბუთების შემთხვევაში. ცვლილებების განხორციელება დოკუმენტებში ხორციელდება იმავე პრინციპებისა და ეტაპების დაცვით, რასაც გულისხმობს სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

პსდ-ის პერსონალთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა გადაწყვეტლებით, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებას აქვს შესაბამისი მექანიზმები და რესურსი, სათანადო რეაგირება მოახდინოს სამოქმედო გეგმების შეფასების შედეგებზე.

იხ. ასევე ინდიკატორი 1.2.2. (1) აღწერა და განვითარების რეკომენდაცია.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია. დაწესებულება სამოქმედო გეგმის ანგარიშს განიხილავს დაინტერესებულ მხარეებთან: კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და დამფუძნებლებთან. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები (2019 წ; 2020 წ; 2021წ.), რომლებიც ხელმისწავდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №37 „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისა და მისი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია“
2. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (№01 30.03.2022; №2 08.04.2022; №3 15.04.2022)
3. დაგეგმვის პროცესში სტრატეგიულ დოკუმენტებზე სამუშაო ჯგუფისა და დაინტერესებული მხარეების ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები.
4. პსდ-ს ვებგვერდი https://www.dmsk.ge/reports.php
5. პერსონალთან გასაუბრების შედეგები
6. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები (2019 წ; 2020 წ; 2021წ.);
7. პერსონალთან გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს, კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფის** მიზნით შემუშავებული აქვს სხვადასხვა შიდა რეგულაცია: „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეწყვეტის წესი“, „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“, „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“. პროფესიული სტუდენტების უფლებები გაწერილია ასევე დაწესებულების შინაგანაწესში (მუხლი 10. კოლეჯის სტუდენტი), რომელიც ითვალისწინებს კოლეჯში ქცევის, წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის ნორმებს, ასევე დაწესებულების მატერიალური რესურსით სარგებლობის წესებს. პროფესიული სტუდენტის საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის წესები და უფლებები გაწერილია ბიბლიოთეკის დებულებაში.

   დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში, სწავლის შედგების შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესები, არასრულწლოვანი პირის უფლებები, სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირების საკითხები და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ვიზიტის პროცესში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით შემოწმდა პროფესიული სტუდენტების (აქტიური, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი) პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. შემოწმებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული პროცესების მართვა, ასვე ხელშეკრულების პუნქტები შესაბამისობაშია როგორც კანონმდებლობასთან, ასევე დაწესებულებაში მოქმედ მარეგულირებლ აქტებთან.

ინდიკატორთან მიმართებაში, დამატებითი მტკიცებულების მიღების მიზნით, შემოწმდა პროფესიული სტდენტების უფლებების დაცვისა და გარანტიის უზრუნველყოფისა და საქმიანობისას რეგულაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა. შემოწმდა სტუდენტთა კორპუსთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტებიც (პროფესიულ სტუდენტთა მიღების, ჩარიცხვის, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, კვალიფიკაციის მინიჭების, კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებები). შემოწმებული დოკუმენტაცია შესაბამისია საკანონმდებლო და პსდ-ის შიდა რეგულაციების მოთხოვნების. პსდ-ის საქმიანობას, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ადასტურებს ასევე პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები. პროცესში ჩართული პირები იცნობენ საკანონმდებლო და დაწესებულების რეგულაციებს, რასაც ეცნობიან როგორც პსდ-ის ადმინისტრაციის, ისე ვებ-გვერდის მეშვეობით.

<u>შემოწმების შედეგად, ექსპერტთა დასკვნით, პსდ-ის პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვასთან დაკავშირებული დებულებები და განხორციელებული პროცესები, საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისია და უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას.</u> თუმცა დაწესებულების შიდა რეგულაციები არ მოიცავს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ ყველა პროცესს. მაგ. აპლიკანტთა პორტალზე რეგისტრაციის, ინფორმირების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესებს.

მიუხედავად იმისა, რომ პსდ-ს ადმინისტრაციის მიერ პროცესების მართვა ხდება საკანონმდებლო აქტების დაცვით, პროცესების მართვისა და კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, შიდა რეგულაციაში ასახული უნდა ჰქონდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №42/ნ ბრძანების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურები: დაინტერესებულ პირთა კონსულტირება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, ინფორმირება, მისაღები კომისიის რეგლამენტი, შშმ/სსსმ პირთა ჩარიცხვის პროცედურა, შერჩევის პროცესთან დაკავშირებული საჩივრების მართვა. ასევე დაწესებულების პროფესიული სტუდენტთა კორპუსის მართვასთან დაკავშირებულ შიდა დოკუმენტებში, შევიდეს ცვლილებები, სრულყოს და ასახოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესები.

<u>**განვითარების რეკომენდაცია:**</u>

პსდ-ში ჩარიცხვის პროცედურის მართვისა და პროცესების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ სრულად უნდა ასახოს/სრულყოს, კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებულ შესაძლო პროცესებთან დაკავშირებული პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.** აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი აქტი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და ხელმისაწვოდმია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პსდ-ის დებულების თანახმად პროფესიული სტუდენეტების უშუალო მომსახურება ევალება სასწავლო პროცესის მენეჯერსა და მის ასისტენტს (პსდ-ის დებულება, მუხლები 13; 14), ხოლო აქტების საჯაროობა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს (პსდ-ის დებულება, მუხლი 15). ამავე დოკუმენტით, პროფესიული სტუდენტების იურიდიული კონსულტირების ვალდებულება აქვს დაწესებულების იურისტს ((პსდ-ის დებულება, მუხლი 16).

ვიზიტის ფარგლებში, პსდ-ის მიერ ორგანიზებული იყო შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულთან. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ***პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები ფლობენ ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ.***

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.** შეფასების წესები და საჭიროებისას აპელაციით სარგებლობის საკითხები, გაწერილია პსდ-ის „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში“. დოკუმენტით რეგულირდება: შეფასების პროცესის (მათ შორის განმეორებითი) ადმინისტრირების, შეფასების შედეგებზე პროფესიული სტუდენტის ინფორმირების, აპელაციის პროცედურა და ვადები. წესის თანახმად სტუდენტთა ინფორმირებას, შეფასების სისტემის შესახებ, ახდენს მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი.

დაწესებულების ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირების განმარტებით, განხორციელებული სასწავლო პროცესის დროს, აპელაციას ადგილი არ ჰქონია, თუმცა მათი მხრიდან, აღნიშნული მექანიზმების შესრულებისა და პროფესიული სტუდენტების ინფორმირების შესახებ, მუდმივად ხორციელდება მონიტორინგი. მონიტორნგისას ადგილი ჰქონდა პროფესიული სტუდენტების უკმაყოფილებას, რომ მასწავლებლების მხრიდან არ ხდება შეფასების წესების გაცნობა. ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნულ ფაქტზე დაწესებულების რეაგირების დოკუმენტები. გამოვლენილი ფაქტების შემდეგ, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ასევე ჩატარებულია ინდივიდუალური შეხვედრები/ინსტრუქტაჟები მასწავლებლებთან. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, პსდ-ში სისტემატურად ხორციელდება კონტროლი პრფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის, გასაჩივრების და ზოგადად მათი უფლება-ვალდებულებების ინფორმორების შესახებ.

კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ გასაჩივრების საჭიროება არ დამდგარა, თუმცა ისინი ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას შეფასებისა და აპელაციის პროცედურების შესახებ.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა,** რაც რეგულირდება „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეწყვეტის წესით“ (მუხლი 1, პუნქტები: 7; 8). აღნიშნულ საკითხთა შესწავლის მიზნით, ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. შემოწმებით დადასტურდა საკანონმდებლო და შიდა რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა. პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებებში ჩამოყალიბებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები და სტუდენტთა უფლებები. მოიცავს დაწესებულების შიდა რეგულაციებთან გაცნობის დამდასტურებელ ჩანაწერებს.

პსდ-ს გაწერილი აქვს ასევე, კანონერი წარმომადგენლის უფლება-ვალდებულებები (დაწესებულების შინაგანაწესი, მუხლი 10, პუნქტები 8; 9). იქედან გამომდინარე, რომ შინაგანაწესი შინაარსობრივად ძირითადად მოიცავს შრომითი ურთიერთობების საკითხებს, სასურველია დოკუმენტს გამეოყოს პროფესიულ სტუდენტთან და კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირებული დებულებები. აღნიშნული საკითხები შესაძლებელია დაემატოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტს ან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას.

<u>**განვითარების რეკომენდაცია**</u>

კორექტირდეს პსდ-ს შინაგანაწესი და კანონიერი წარმომადგენლის მიმართ დადგენილი მოთხოვნები გაიწეროს უშუალოდ ხელშეკრულებაში ან შემუშავდეს ცალკე პროცედურა.

5. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შეიმუშავება-განახორციელების მექანიზმები გაწერილია პსდ-ს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში“. დოკუმენტი, საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების (ისგ-ის საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი) ჩართვას პროცესებში. რეგულაციებით განსაზღრულია ისგ-ს შემუშავების შემთხვევები და საჭიროება, ისგ-ზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა და შედგენის თავისებურებები.

პერსონალთან გასაუბრებით, დაწესბულებას არ აქვს ისგ-ს შემუშავების პრაქტიკა, რადგან არ ჰყოლია სსსმ/შშმ პირები. თუმცა შიდა დოკუმენტაციის ანალიზისა და პერსონალთან გასაუბრების შედგების საფუძველზე ***პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №22 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“, 08.10.2021
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №15 „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეწყვეტის წესი“, 07.07.2021
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №27 „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“, 30.12.2020
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №18 „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ 07.05.2019
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №48 „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი“, 10.12.2021
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №23 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ 08. 10.2021
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №46 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესი“ 09.12. 2021
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №39 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება“ 08.12.2021
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №47 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ 09.12. 2021
10. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №42 «მატერიალური რესურსების მართვის წესი“ 09.12. 2021
11. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ანკეტები;
12. ხარისხის მართვის მენჯერის ანგარიშები გამოკითვის შედეგებზე რეაგირებისა და განხორციელებული აქტივოებების შესახებ.
13. დაწესებულების ვებგვერდი
14. პროფესიულ სტუდნეტთა კორპუსის მართვასთან დაკავშირებული ბრძანებები
15. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეები
16. პსდ-ს პერსონალთან და კუსრდამთავრებულთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტების კონსულტირებისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მხარდაჭერის უზრუნველყოფის ვალდებულებები პსდ-ს გაწერილი აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებში/უფლება-მოვალეობებში (პსდ-ს დებულება) პერსონალის მოვალეოებებით განსაზღვრულია კონსულტაციისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფის ვალდებულებები, რომლის შესრულებაზე პასუხისმგებლობა აკისრიათ სასწავლო პროცესის მენეჯერს და მის ასისტენტს, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს. პროფესიული სტუდენტისგან წამოსული მიმართვის შემთხვევაში დაწესებულებაში ხორციელდება კონსულტაციები, ტარდება დამატებითი მეცადინეობა. კონსულტაციის/მეცადინეობის ვადები დგება პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის ურთიერთშეთანხმებით, რის შესახებ ინფორმირებულია ადმინისტრაციაც.

   კონსულტაციები, პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ხორციელდება როგორც პირისპირ, ისე დისტანციურ რეჟიმში. გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები, ასევე იღებენ ინფორმაციას მიღწევების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ინფორმირებისას დაცულია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. აღნიშნულს უზრუნველყოფს ასევე შიდა საკომუნიკაციო ქსელი, სადაც ყველა სტუდენტი და მასწავლებელი ჩართულია როგორც ინდივიდუალური მომხმარებელი, შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მიღწევების შესახებ ხდება ინდივიდუალურად.

კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ მათ კოლეჯის დასრულების შემდეგაც, მუდმივად აქვთ შესაძლებლობა, პერსონალისა და მასწავლებლებისგან მიიღონ კონსულტაციები და განმარტებები პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით.

დოკუმენტაციის შესწავლითა და ფაქტობრივი გარემოებით, პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.** აღნიშნულ საკითხებზე პასუხისმგებლობა ეკისრება სასწავლო პროცესის სამსახურის პერსონალსა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომლებიც, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც პროფესიულ სტუდენტებს აცნობენ კოლეჯის სერვისებს, ინფრასტრუქტურას, შინაგანაწესსა და სხვა რეგულაციებს (დოკუმენტებთან და წესებთან გაცნობის შესახებ დადასტურების ფურცლები განთავსებულია პროფესიული სტუდენტების პირად საქმეებში).

   პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და შეხვედრების ჩატარება დასტურდება ასევე კურსდამთავრებულთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებით.

3. **პსდ პროფესიული სტუდენტის გონივრულ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას**. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (ცნობის, სერტიფიკატის/დიპლომის გაცემა, შიდა/გარე მობილობის ხელშეწყობა, ფორმალური განათლების აღიარება და სხვა) გონივრულ ვადაში ხორციელდება. სერვისების გაწევის მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინიტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს. აღნიშნული საკითხების რეგულირებისთვის შემუშავებული აქვს რიგი შიდა რეგულაციები, როგორიცაა „ფორმალური განათლების აღიარების წესი“, „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“ და ა.შ. ხოლო შემოსული განცხადებების/დავალებების შესრულების ვადები გაწერილია პსდ-ს საქმისწარმოების ერთიან წესში.

   ვიზიტის ფარგლებში შემოწმებული იქნა ფორმალური განათლების აღიარების დოკუმენტაცია (ფორმალური განათლების აღიარების ოქმები 26.07.2021; 22.11.2021), ასევე კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ გონივრულ ვადებში მხრდაჭერის ფაქტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერის აღმოჩენაზე მზაობა დაადასტურეს ასევე პროფესიულმა სტუდენტებმა გასუბრებისას. მათ აღნიშნეს, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია ყოველთვის ორინეტრებულია სტუდენტთა საჭიროებების მხარდაჭერისთვის. სტუდენტებს უშუალო კომუნიკაცია აქვთ სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან (მენეჯერი, ასისტენტი), თუმცა მათი თქმით, ადმინისტრაციის ნებისმიერ პერსონალს შეუძლია მიმართონ, რომლებისგანაც ოპერატიულად იღებენ სათანადო რეკომენდაციებსა და მხარდაჭერას.

პსდ-ს დოკუმენტაციითა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. პსდ-ს შიდა დოკუმენტებით განსაზღვრული არაა დამატებითი აქტივობებისა და ინიციატივების ინიცირების წესი, ინიციატივის განხილვის, ინფორმირების ვადები, ინიციატივების განხორციელების შემთხვევაში ფინანსურ-მატერიალური მხარდაჭერის ფორმა და სხვა.

   პერსონალისა და პროფესიული სტუდენეტების განმარტებით, დამატებითი აქტივობები სისტემატურად ხორციელდება და მათი შერჩევა უმრავლეს შემთხვევაში ხდება პროფესიული უნარებისა და ცოდნის გაძლიერების კონტექსტში, რათა უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყოს მომავალი სპეციალისტების ცოდნა, პროფესიული ხედვა, გემოვნება. ამ მიზნით პერსონალისა და სტუდენტების ინიცირებით იგეგმება ლაშქრობები უნიკალური და ენდემური მცენარეების ლოკაციებზე, ასევე ეწყობა ტურები ნაკრძალებში, სამხატვრო გალერეებსა და საგამოფენო დარბაზებში. ღონისძიებების ამსახველი ფოტო-მასალა განთავსებულია პსდ-ის ვებ და სოციალური ქსელის გვერდებზე.

   პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. **პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.** პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით, პსდ-ს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, ასევე შეფასების ინსტრუმენტები/კვლევის მეთოდები და შეფასების განხორციელების ეტაპები (მუხლი 3) რომლის თანახმად ახდენს ყოველი ჯგუფის გამოკითხვა-ანკეტირებას. კვლევები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სასწავლო პროცესი, პსდ-ს ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტური სერვისები, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა. კვლევის შედეგების საფუძველზე დგება სერვისების გაუმჯოებესების რეკომენდაციები.

   ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა განხორციელებული კვლევების მასალები/ანგარიშები თანმხლები რეკომენდაციები. პსდ-ს ხარისიხს მართვის სამსახურის პერსონალის განმარტებით, ხშირ შემთხვევაში კითხვარები ვერ იძლევა საჭირო, ამომწურავ ინფორმაციას, რის გამო, ხშირად მიმართავენ პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიურებას. ერთ-ერთი ასეთი ინტერვიურებისას გამოიკვეთა, ერთეული შემთხვევები, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ არ ხდებოდა შეფასების წესისა და მოდულების შინაარსის წინასწარ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

გაცნობა. რაზეც დაწესებულებამ დაგეგმა და განახორციელა შეხვედრები მასწავლებლებთან, შესაბამისი ინფორმაციის, მითითებებისა და რეკომენდაციების გასაცნობად (იხ. ასევე 3.1.1.(3) ინდიკატორის აღწერა).

გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირებული საკითხების გამუმჯობესების ღონისძებები ისახება სამოქმედო გეგმებშიც.

პსდ-ში არსებული მექანიზმებისა და განხორციელებული კვლევების, მათი ანალიზის დოკუმენტებისა და რეაგირების ფაქტების გათვალისწინებით დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშრის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პორფესიული სტუდენტების მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პსდ-ს ხარისხის მენეჯერის ანგარიშები (ოქმები:№1 29.06.2022; №2 29.06.2022)
2. პსდ-ს ხარისხის მენეჯერის ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ;
3. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარები;
4. სტუდენტური სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №22 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“, 08.10.2021
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №27 „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“, 30.12.2020
7. კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია (საკვალიფიკაციო კომისიების ოქმები, ბრძანებები, პროფესიული განათლების დამდასტურებელი დოკუმენტების გაცემის დოკუმენტები)
8. პსდ-ს პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კუსრდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები
9. დაწესებულების ვებგვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის,** რასაც ადასტურებენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ამ მიმართულებით დაწესებულების აქტიური საქმიანობა დასტურდება მის პერსონალთან გასაუბრებითაც.

   პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია როგორც ინდივიდუალურად, ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით. პოტენციურ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებს, კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებს, რისთვისაც განსაზღვრულია შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან, პანდემიამდე კოლეჯი ამ მიზნით ასევე აქტიურად იყენებდა სხვადასხვა პროექტებს მათ შორის მასპინძლობდა სკოლის მოსწავლეთა ვიზიტებს კოლეჯში.

   საგანმანთლებლო პროგრამებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია თავსდება როგორც პსდ-ს ვებგვერდზე, ისე სოციალურ ქსელში. პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დაწესებულება აწარმოებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის ბევრი კურსდამთავრებული, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებიც, თავად არიან დამსაქმებლები. კოლეჯის კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების დასაქმებას უზრუნველყოფს ასევე პსდ-ის პრაქტიკის ობიექტიც.

პსდ-ში კარიერული მხარდაჭერას და დასაქმების ხელშეწყობას უზრუნველყოფს პსდ-ს დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ დარგში. თუმცა, პერსონალის სამუშაო აღწერილობა (პსდ-ს დებულება, მუხლი 10) არ მოიცავს ამ შინაარსის ფუნქცია-მოვალეობებს. სასურველია სამუშაო აღწერილობამ სრულად ასახოს პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოთა შინაარსი.

ფაქტობრივი გარემოებების, პსდ-ს პერსონალსა და კურსდამთვარებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებაში კერიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია, როგორც არსებული ისე პოტენციური სტუდენტებისათვის.

<u>განვითარების რეკომენდაცია</u>
გადაიხედოს პსდ-ს დებულების შესაბამისი პუნქტი/პუნქტები და სრულად აისახოს პერსონალის პოზიციების/შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები.

2. **პსდ-ს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმირებას** ახდენს სასწავლო პროცესის მენეჯერის ასისტენტი და საქმისწარმოების სპეციალისტი, რომელიც ასევე პასუხისმგებლია სოციალური გევრდის მართვაზე.

ვიზიტის დროს კურსდამთვარებულებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს პსდ-ს მიერ არა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორიმრების ფაქტები, არამედ, ისისნი დასაქმებულები არიან უშუალოდ კოლეჯის მიერ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კოლეჯის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელთა უმრავლესობა, ასევე კოლეჯის კურსდამთავრებულები არიან.

კარიერული მხარდაჭერის სერვისზე პასუხისმგებელმა პირმა, ექსპერტებთან საუბარში აღნიშნა, რომ კოლეჯს უმრავლეს შემთხვევაში თავად მიმართავენ დამსაქმებლები, კერძო პირები, სხვადასხვა პროექტები, ასევე თავად საქართველოს საპატრიარქო კადრების/დასაქმების მოთხოვნით, შესაბამისად კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (71 %), ასევე პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბევრი კურსდამთავრებული არის თვითდასაქმებული.

ფაქტობრივი გარემოებების, პერსონალსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

3. **პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.** კვლევების განხორციელებას უზრუნველყოფს პსდ-ს ხარისხის მართვის სამსახური. ამ მიზნით შემუშავებულია სპეციალური კითხვარი. პსდ-ს ასევე აქვს სატელეფონო გამოკითხვის პრაქტიკაც.

   ხარისხის მართვის სამსახური სისტემატურად ახორციელებს დასაქმებულთა და დამსაქმებელთა კვლევას, რომლის მიზანია, არა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა, არამედ უკუკავშრის გამოვლენა კურსდამთავრებულთა უნარების შესახებ. კვლევის საფუძველზე დაწესებულება ადგენს დასაქმებულთა სტატისტიკას.

   ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა 2020-2021 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების, ასევე დამსაქმებელთა კვლევა. კვლევის შედეგებით, ორივე პროგრამის ფარგლებში, პსდ-ს კურსდამთავრებულთა 71% დასაქმებულია (საგანმანათლებლო პროგრამა „მეგაღეობა“- 39 კურსდამთავრებული, დასაქმებულია - 24; საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი - 24 კურსდამთავრებული, დასაქმებულია - 17).

   კვლევის შედეგებით, ყველა რესპოდენტი დადებითად აფასებს კურსდამთავრებულთა ცოდნასა და უნარებს. დასაქმების კვლევის შესახებ სტატისტიკური მონაცემები განთავსებულია პსდ-ს ვებ-გვერდზე ანგარიშის სახით.

4. **კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.** პსდ-ს კვლევის მიზანს, წარმოადგენს სწორედ მომსახურებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის გაუმჯობესება, თუმცა წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარები, რომლებიც მოიცავენ მომსახურების გაუმჯობესებისთვის შესაბამისი შინაარსის კითხვებს, აბსოლუტურად დადებითად არის შეფასებული. ხარისიხს მართვის სამსახურის პერსონალის განმარტებით, დამატებით ინფორმაციის მოძიების მიზნით, სამსახურმა განახორციელა გამოკითხვა-ინტერვიურება. რის საფუძველზეც გამოიკვეთა, ერთეული შემთხვევები, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ არ ხდებოდა შეფასების წესისა და მოდულების შინაარსის წინასწარ გაცნობა (იხ. ასევე 3.1.1. (3) და 3.2.1.(5) ინდიკატორები), რაზეც დაწესებულებამ დაგეგმა და განახორციელა შეხვედრები მასწავლბელბთან, შესაბამისი ინფორმაციის, მითითებებისა და რეკომენდაციების გასაცნობად. ასევე იდენტიფიცრებულია მოთხოვნა პროფესიული მომზადების/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ, რაც პსდ-ს შეტანილი აქვს სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში.

   ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით, პსდ-ში არის კველევების და გამოკითხვების შედეგებზე შესაბამისი რეაგირების/გაუმჯობესების პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

1. პსდ-ს ხარისხის მენეჯერის ანგარიშები (ოქმები:№1 29.06.2022; №2 29.06.2022)
2. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარები
3. პსდ-ს პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულთან გასაუბრების შედეგები
4. დაწესებულების ვებგვერდი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მიზნებისა და ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული ერთეულებით/სამსახურებით ისე პოზიციებით, განსაზღვრულია მათი იერარქია და ფუნქციური კავშირი. სტრუქტურაზე განსაზღვრული პოზიციები/პერსონალი უზრუნველყოფს დაწესებულების წესდებით/დებულებით და სტრატეგიული დოკუმენტებით დასახული მიზნების მიღწევას. კოლეჯის სტრუქტურა და განვითარების პროცედურა აღწერილია პსდ-ს დებულებაში (მუხლი 6). დებულების კონკრეტული მუხლი მოიცავს ასევე პერსონალისა და სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალს. დებულებისგან განსახვავებით, სტრუქტურულ სქემაში სასწავლო პროცესის მიმართულებაში შეტანილია ასევე „სტუდენტები“.

   პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია დაწესებულების დებულებაში (მუხლები 8-16), დირექტორის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები ასვე გაწერილია პსდ-ს წესდებით (მუხლები: 8; 9). პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაწესებულებას განსაზღვრული აქვს „შინაგანაწესში“ (მუხლები: 3; 9). საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისია პერონალზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების, რაც, როგორ აღინიშნა დოკუმენტირებულია პსდ-ს დებულებაში. თუმცა, დებულების მუხლები სრულყოფილად არ მოიცავს პოზიციების/პერსონალის შესასრულებელ მოვალეობებს, რომლებიც ასევე გვხვდება პსდ-ს სხვადასხვა დოკუმენტებში. სასურველია პერსონალთან დაკავშირებული საკითხები (ფუნქცია-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები, მათ შორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ერთ დოკუმენტად (სამუშაო აღწერილობა/თანამდებობრივი ინსტრუქცია) იქნეს ჩამოყალიბებული, რასაც ექნება ასვე პერსონალის საკუთარ უფლება-მოველობებთან გაცნობის დამდასტურებელი ხელმოწერა. ამასთან გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნეს 2 ეგზემპლარი, თითო ეგზემპლარი მხარეებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შესწავლილი დოკუმენტაცით დასტურდება, რომ ***პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია,*** ამასთან, გასაუბრებით ასვე დასტურდება, რომ პერსონალი იცნობს საკუთარ უფლება-მოვალეობებს. ***შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა დადებითად.***

<u>განვითარების რეკომენდაცია</u>
შეტანილი იქნეს ცვლილებები პსდ-ის სტრუქტურაში. სქემაზე აისახოს მხოლოდ პსდ-ს წესდებით/დაებულებით განსაზღვრული მართვაზე პასუხისმგებელი პირები/პერსონალი და სტრუქტურული ერთეულები. სასურველია პეროსნალის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული საკითხები შემუშავდეს ერთიანი დოკუმენტის/ინსტრუქციის სახით.

2. ***პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას,*** *რისთვისაც* ადმინისტრაციულ-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საშტატო განრიგით გამოყოფილია 20 პირი. ადმინისტრაციული რგოლი (დირექტორი, დირექტორის მოადგილეები ადმინისტრაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ და სასწავლო დარგებში) ასევე შემდეგი პოზიციები: იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტი, IT სპეციალისტი, პრაქტიკის სახელოსნოების პერსონალი (5 პირი), დასუფთავებზე პასუხისმგებელი 2 პირი; სტრუქტურული ერთეულები: ხარისხის მართვის სამსახური (2 ს.ე.), სასწავლო პროცესის სამსახური (2 ს.ე.), კანცელარია, ბუღალტერია, სამეურნეო სამსახური.

   შიდა დოკუმენტებით განსაზღვრული ფუქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე და უზრუნველყოფს პსდ-ს მიერ დასახულ მისიის, ხედვისა და სტრატეგიული ამოცანების/მიზნების შესრულებას.

3. პსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია 2 პირი: ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი და ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერის ასისტენტი. პასუხისმგებელი პირების ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს დაწესებულების ფუნდამენტური პროცესების მართვასა და კონტროლს. ძირითად ფუნქციას წარმოადგენს დაწესებულებაში სიახლეების დანერგვა, პერსონალის განვითარების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება/მონიტორგი, პერსონალისა და მომხმარებლის კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევების განხორციელება, გამუჯობესება-განვითარების რეკომენდაციების შემუშავება. ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებია ასევე პერსონალის (ადმინისტრაციული/პროფესიული განათლების მასწავლებლები) კონსულტირება პროფესიული საქმიანობის განსახორციელება-გაუმჯობესების მიზნით და პსდ-ში ავტორიზაციის და თვითშეფასების, მათ შორის, შეფასების ვერიფიკაციის პროცესების ორგანიზება-ხელმძღვანელობა. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, პსდ-ს სხვა პერსონალთან ერთად ჩართულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესებში. პერსონალთან გასაუბრებისა და დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე განხორციელებული პროცესების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ***პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დაფუძნების შესახებ სანოტარო აქტი 05.10. 2011
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის წესდება
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №46 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესი“ 09.12. 2021
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №39 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება“ 09.12. 2021
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის სტრუქტურული სქემა
6. პსდ-ს ვებგვერდი
7. პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობების შესახებ დებულებები, შესაბამისია საკანონმდებლო მოთხოვნების, არეგულირებს შრომითი ურთიერთობის (სამსახურში მიღება, გათავისუფლება, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, შრომისა და ზეგანაკვეთური ანაზღაურების, დასვენებისა და შვებულების, შრომის უსაფრთხოების, შრომითი დავების საკითხებს. შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უფლება-მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხები. მათ შორის, შინაგანაწესი მოიცავს დისკრიმინაციის გამორიცხვის შესახებ დებულებებს.

   პსდ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული მუხლები არაა წინაღმდეგობაში შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან. პერსონალთან გასაუბრებით და პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსის მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს შინაგანაწესის თანახმად და პერსონალი იცნობს დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს. ხელშეკრულების თანახმად, შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და დასაქმებული შინაგანაწესის გაცნობას ადასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

   პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (შინაგანაწესი, არმ-ის მართვის დებულება) ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, განთავსებული პსდ-ს ვებგვერდზე. პერსონალთან გასაუბრებით, დასტურდება პერსონალის მიერ შინაგანაწესით განსაზღვრული დებულებების/მოთხოვნების ცოდნა.

დოკუმენტაციისა და პსდ-ის პროცესების შეფასებით, ასევე ფაქტობრივი გარემოებით, დასტურდება, რომ პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. პსდ-ს შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის დებულება, რომლის მიზანია, მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა შერჩევა-შენარჩუნება, პერსონალის მოტივაციის, თვითრეალიზების, თვითგანვითარების უზრუნველყოფა და მასთან კოლეჯის შესაძლებლობების გაძლიერება.

შესწავლილი დოკუმენტაციით, პსდ-ს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციებით განსაზრვრული პერსონალის შერჩევის/მიღებისა და გათავისუფლების პუნქტები უზრუნველყოფს ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვას. პერსონალის მოზიდვის მიზნით პსდ იყენებს გამარტივებულ წესს (კონკურსის გარეშე მიღება), ხოლო პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და შიდა პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვას.

შერჩეულ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც ასახულია საკანონმდებლო სავალდებულო მოთხოვნები და მოიცავს დასაქმებულისთვის სამუშაო მოვალეობების შესასრულებლად სრულყოფილ ინფორმაციას. პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია პირად საქმეებში. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ყველა პირადი საქმე (ადმინისტრაციული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები). ყველა მათგანი დაკომპლექტებულია სრულყოფილად, დაწესებულების საქმისწარმოებისა და შინაგანაწესის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა პირად საქმეში განთავსებულია, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები.

პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პსდ-ს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ადმინისტრაციული პერსონალი - პსდ-ის შინაგანაწესი, მუხლი 3; პროფესიული განათლების მასწავლებელი - პსდ-ის შინაგანაწესი მუხლი 9) ადეკვატურია შესასრულებელი სამუშაოების და არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებისა, ხოლო შერჩეული ***პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.***

4. **პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. პსდ-ის მენეჯმენტი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისთვის ქმნის სამუშაო ჯგუფებს, რასაც მოწმობს პსდ-ის ბრძანებები, სამუშაო ჯგუფების შეხვედრის მასალები, რომლებიც ასახავენ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, დოკუმენტების, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო რესურსის შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციისა და პსდ-ის თვითშეფასების პროცესებს, ფორმალური განათლების აღიარებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებსა და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

გუნდური/კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით პსდ-ს რეგულაციები ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის კომისიების მუშაობას, ასევე კოლეჯის საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრების (პირისპირ/ონლაინ) პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №46 „შინაგანაწესი“ 09.12. 2021
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №41 “ადამიანური რესურსების მართვის დებულება“ 09.12.2021
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №5 „მასწავლებელთა დანიშვნის შესახებ „ 10.04.2022
4. დაგეგმვის პროცესში სტრატეგიულ დასამოქმედო დოკუმენტებზე სამუშაო ჯგუფის სამუშაო შეხვედრებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები.
5. პერსონალის პირადი საქმეები
6. პერსონალთან გასაუბრების შედეგები
7. პსდ-ს ვებგვერდი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.*** პსდ-ის პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს პსდ-ის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს პერსონალის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენას, მათ პროფესიულ განვითარებას. პერსონალის შეფასებისა და განვითარების საჭიროების კვლევის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ პერიოდულად ხორციელდება კვლევა ანკეტა-კითხვარების გამოყენებით. პროგრამის განმახორციელებელი პირის შეფასებისთვის აღნიშნულ ფორმებთან ერთად გამოიყენება ასევე მეცადინეობაზე დასწრება, პრფესიული სტუდენტების მიერ მასწავლებლის შეფასება წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით. ადმინისტრაციული პირსონალის შეფასებისას, ხდება სამუშაო ინსტრუქციებით გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების ხარისხის მონიტორინგი/შეფასება, ასევე პროფესიული სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ მათი შეფასება.

   განხორციელებული შეფასებების/კვლევების საფუძველზე განისაზღვრება პერსონალის განვითარების აქტივოებები, რაც ისახება წლიურ სამოქმედი გეგმაში. პსდ-ის მიერ შეფასების შედეგები შესაძლებელია გამოიყენებული იქნეს მოტივაციის სისტემის მექანიზმების აღსრულებისთვის (დაწინაურების, წახალისების, გადაყვანის, დაქვეითების და გათავისუფლების საფუძველი).

   პერსონალის შეფასების სისტემის დანერგვა-განვითარების სამოქმედო ამოცანები პსდ-ს შეტანილი აქვს ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც.

2. ***პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. პერსონალის განვითარებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით პსდ დადგენილი პერიოდულობით ახორციელებს პერსონალის შეფასებას.*** შეფასების მიზანია პერსონალის წახალისება, პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშეწყობა, დაწინაურების, დაქვეითების და გათავისუფლების საფუძველი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება კოლეჯის თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული მოვალეობების შესაბამისად, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასება ხორციელდება სპეციალური ანკეტა-კითხვარებითა და პროფესიული სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. შეფასებისა და გამოვლენილი საჭიროების შედეგად ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. პერსონალის განვითარების შესახებ ზოგადი შინაარსის მუხლებს მოიცავს სამოქმედო გეგმებიც.

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას საკანონმდებლო მოთხოვნებისა და შიდა გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.** პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით პსდ გამოყოფს შესაბამის ფინანსურ რესურსს ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების მიზნით. მაგ. პსდ-ის დაფინანსებით განხორციელდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადება/სერტიფიცირება. პერსონალის პირად საქმეებში მრავლადაა წარმოდგენილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორცილებულ ტრენინგებში მონაწილეობის დამდასტურებელი სერტიფიკატები. პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმისა და პროცესების საჭიროებიდან გამომდინარე, პსდ-ში ხშირად ტარდება შიდა სწავლებები ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით. პსდ-ის ადმინისტრაცია ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის. დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერებასა და სფეროს სიახლეების გაცნობის მიზნით ორგანიზებული იყო სასწავლო მივლინებები გერმანიასა და უკრაინაში.

4. პსდ-ს, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს წესი (პერსონალის მართვის დებულება მუხლი 7). დებულების თანახმად, პერსონალის ინტეგრაციის პროცესში ჩართულია დაწესებულების ნებისმიერი პირი, ხოლო თავად ინტეგრაციის პროცესი მოიცავს: დაწესებულების დოკუმენტაციის (შინაგანაწესი, დებულება, ადამიანური რესურსების მართვის დებულება, სტრატეგიული მიზნები და ა.შ.) გაცნობას, სამუშაო პროცესისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გადაცემას, სამუშაო ადგილის მომზადებას და საჭირო ინევნტარის/ნივთების გადაცემას.

   პსდ-ს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის განმარტებით, პროცედირის შემუშავების შემდეგ, მსგავსი გარემოება დაწესებულებაში არ დამდგარა. შესაბამისად, ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა მხოლოდ დებულება. ასვე გასაუბრება განხორციელდა პერსონალთან, რამდენად ინფორმიერბულები არიან და იცნობენ პერსონალის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციებსა და მოთხოვნებს. პროცედურისა და გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ **პსდ-ს მიერ შემუშავებული წესი და პერსონალი, ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას.**

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. პსდ-ში პერსონალსა და ხარისხთან დაკავშირებული პროცედურები ითვალსიწინებენ პერსონალის შეფასებას, საჭიროებების, კმაყოფილების კვლევას, რაც მოიაზრებს, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას. გამოკითხვის/პერსონალის ინიციატივის საფუძველზე პსდ გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, კონსულტაციებს, ტრენინგებს. დაწესებულების პროცედურით გამოვლენილ საჭიროებებზე გამოიყოფა შესაბამისი ფინანსური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №41 “ადამიანური რესურსების მართვის დებულება“ 09.12.2021
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის 2022 წლის სამოქმედო გეგმა
3. პერსონალის ტრენინგებში მონაწილეობის დამდასტურებელი სერტიფიკატები
4. პერსონალის პირადი საქმეები
5. პსდ-ს ვებგვერდი
6. პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

სსიპ „საქართველოს საპატრიარქოს“ უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულებით დაწესებულებისთვის სარგებლობის უფლებით (2035 წლამდე ვადით) გადაცემული აქვს შენობა (№48-41; 57; 29; 31; 58; 41). შესაბამისად, კოლეჯში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე, სადაც ასევე არის სასწავლო ბაზა. კოლეჯის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- აუდიტორია №1 თეორიული სწავლებისთვის (ფართი აზომვით ნახაზით - 45.112 კვ.მ), 20 ს.ა. პროფესიული სტუდენტისთვის, 1 ს.ა. მასწავლებლისთვის, აღჭურვილი კომპიუტერითა და სადემონსტრაციო საშუალებით (მონიტორი), მაგნიტური ბორდმარკერის დაფა, (პროგრამისთვის მებაღეობა);
- აუდიტორია №2 თეორიული სწავლებისთვის (ფართი აზომვით ნახაზით - 46.548 კვ.მ), 46 ს.ა. პროფესიული სტუდენტისთვის, 1 ს.ა. მასწავლებლისთვის, აღჭურვილი კომპიუტერითა და სადემონსტრაციო საშუალებით (მონიტორი), მაგნიტური ბორდმარკერის დაფა; (პროგრამისთვის მებაღეობა);
- აუდიტორია №3 თეორიული სწავლებისთვის (ფართი აზომვით ნახაზით - 45.531 კვ.მ), 18 ს.ა. პროფესიული სტუდენტისთვის, 1 ს.ა. მასწავლებლისთვის, აღჭურვილი კომპიუტერითა და სადემონსტრაციო საშუალებით (მონიტორი), მაგნიტური ბორდმარკერის დაფა; (პროგრამისთვის ბაღის დიზაინი);
- კომპიუტერული კლასი (ფართი აზომვით ნახაზით - 31.197კვ.მ), 17 ს.ა. პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, პროექტორი, მაგნიტური ბორდმარკერის დაფა;
- ბიბლიოთეკა (ფართი აზომვით ნახაზით - 21,78 კვ.მ), სტუდენტებისთვის გამოყოფილი 4 სამუშაო ადგილით, 1 კომპიუტერი ასლგადამღები და ბეჭდვის მოწყობილობით. სამუშაო ადგილები გამოყოფილია ასევე ფოეში (2 მაგიდა, წერტილოვანი სანათებით);
- ადმინისტარციული საქმიანობისთვის სამუშაო კაბინეტები: დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ხარისხისა და სასწავლო მენეჯერის სამუშაო ოთახი, სივრცე პირველადი დახმარებისთვის (სამედიცინო ტახტი, ტუმბო პირველადი დახმარების საშუალებებისთვის) და არქივი.

კოლეჯის ტერიტორიაზე ეზოში პრაქტიკული სწავლების სივრცის მიმდებარედ მოწყობილია სამასწავლებლო, ასევე სატრაპეზო სტუდენტებისთვის (ცალკე მდგომი შენობა, აღჭურვილია შესაბამისად: სამზარეულოს გარნიტური, ნიჟარა, მაცივარი, გაზქურა);

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მატერიალური რესურსების მართვის წესი“. აღნიშნული ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობა დასტურდება დოკუმენტაციით, რაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა. დათვალიერებისა და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე **ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.** აღნიშნული საკითხის მართვის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მატერიალური რესურსების მართვის წესი“, რომლის თანახმად კოლეჯის სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს სამსახურებრივი მოვალეობების სრულყოფილად შესრულებისა და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად და წარმატებით განხორციელებისათვის. პროფესიული სტუდენტი კი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა/აღჭურვილობა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. მატერიალური რესურსის გამოყენების შესახებ შესაბამის პუნქტებს მოიცავს პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ზემო აღნიშნული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს, რომ **კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია მათთვის.**

3. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.** საშტატო განრიგით ამ მიზნით გამოყოფილია 2 საშტატო ერთეული/დამლაგებელი, რომელთა მიერ სისტემატურად ხდება საგანმანათლებლო სივრცისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება. სანიტარულ კვანძებში განლაგებულია: ხელსაბანი ნიჟარა, საშუალებები, საშრობი ქაღალდი და ჰიგიენისთვის საჭირო სხვა რესურსები. სანიტარული წერტილები უზრუნველყოფილის ცივი და ცხელი წყლით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობის თვალსაზრისით, გაესაუბრნენ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს, გასაუბრებით ასევე დადასტურდა არსებული ფაქტობრივი გარემოება. შემოწმებისა და გასაუბრების შედეგედ დადგინდა, რომ **კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია ჰიგიენური ნორმები.**

4. პსდ-ის მფლობელობაში არსებული ***შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.*** გათბობის სისტემის ფუნქციონირება დასტურდება როგორც ფაქტობრივი გარემოებებით (ვიზიტის დროს გათბობის სისტემა ჩართული იყო), ისე კომუნალური გადასახადის ქვითრებით. გათბობის სისტემის მომსახურებასა და კონტროლზე პასუხისმგებელია პსდ-ის სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი.

შეფასების შედეგად **დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.**

5. ***დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები***. ამ მიზნით, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, კოლეჯს ჰყავს გამოყოფილი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი შემუშავებულია „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის დებულება“, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების წესები და პროცედურები. თუმცა დოკუმენტი ძირითადად ორიენტირებულია ჯანმრთელობის დაცვისა (გადაუდებელი დახმარება, გადამდები დაავადებების პრევენცია და ა.შ.) და საგანგებო სიტუაციების (სტიქიური უბედურება, ხანძარი, დაუძლეველი ძალა) პრევენციის ან მათზე რეაგირების დროს მოქმედებების მართვაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დებულების თანახმად, ყოველი იდენტიფიცირებული საფრთხის შემდგომ კოლეჯი თავის ყველა ლოკაციაზე განახორციელებს რისკის დონის შეფასებას, მოხდენის ალბათობის, შედეგის შესწავლითა და სხვა ფაქტორებთან ურთიერთდამოკიდებულებების გათვალისწინებით, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს რისკის დონეზე.

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა პრაქტიკული მეცადინეობების/დარგობრივი მოდულების განხორციელებისას შრომის უსაფრთხოების წესები. წესები გამოკრულია დარგობრივი მოდულების განხორციელების სივრცეებში, სტუდენტებისთვის გამოყოფილ გამოსაცვლელ ოთახში, წარმოდგენილი იქნა ასევე ინსტრუქტაჟის განხორციელების დამდასტურებელი ჩანაწერები. ინსტრუქტაჟის ჩატარებასა და შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმირებას ადასტურებენ პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც. თუმცა, კოლეჯის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი პერსონალის სამუშაო გარემოს რისკების რეესტრი, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტში. ასევე არ წარმოებს მოწყობილობებისა და დამცავი აღჭურვილობის შემოწმება-შეკეთების, რისკების პრევენციის და საფრთხეების აღმოფხვრის მიზნით გატარებული ღონისძიებების აღრიცხვა.

შესაბამისად ექსპერტთა მიერ გაიცა მითითება კოლეჯმა უზრუნველყოს მთლიანი სასწავლო-სამუშაო გარემოს რისკების იდენტიფიცირება და მართვა „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ გათვალისწინებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება №341 01.07.2022 წ.). *ასევე სამუშაო/სასწავლო ადგილებზე განთავსდეს სამუშაოთა შინაარსის შესაბამისი გამაფრთხილებელი და უსაფრთხოების ნიშნები.*

ვიზიტის ფარგლებში ფაქტობრივი გარემოებების შესწავლითა და კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით, **კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. პსდ-ს მოქმედი დოკუმენტები საჭიროებს გაუმჯობესება-დახვეწას.** დოკუმენტში დაკონკრეტდეს ადმინისტრაციისა და დასაქმებულთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები აღნიშნული საკითხების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. **ასევე დაინერგოს და გაზიარებული იქნეს კოლეჯის მიერ რისკების მენეჯმენტის პრაქტიკა.**

<u>განვითარების რეკომენდაცია</u>
სასურველია შრომის უსაფრთხოების შესახებ პროცედურაში, მკვეთრად გამოიყოს შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო/სასწავლო გარემოში რისკების მენეჯმენტის პროცედურა. უზრუნველყოფილი იქნეს მოწყობილობების პერიოდული შემოწმება-შეკეთების აღრიცხვა. სამუშაო/სასწავლო ადგილებზე განთავსდეს სამუშაოთა შინაარსის შესაბამისი გამაფრთხილებელი და უსაფრთხოების ნიშნები/ინფოგრაფიკა.

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.** დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების მართვის წესი, რომლის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესაძენ სიებს ადგენენ პროგრამის ხელმძღვანელები. საჭირო რესურსის შესახებ მოთხოვნას წარუდგენენ დირექტორის მოადგილეს პროგრამის დაწყებამდე.

კოლეჯის მიერ მასალა-ნედლეულის შესყიდვა ხორციელდება გარკვეული პერიოდულობით, საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაძლებელია ნაწილ-ნაწილ მოხდეს მარაგის შევსება (განსაკუთრებითმალფუჭებადი მასალა-ნედლეული). სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილ ინვენტარს, მასალებსა და ნედლეულს უშუალოდ მოდულის დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელს გადასცემს სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. აღნიშნული დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულების (პროდუქტის) შენახვისა და განკარგვის წესს და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციას და ინვენტარიზაციას.

აღნიშნული წესის გამოყენების დადასტურების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და მასალა-ნედლეულის შესყიდვების, აღრიცხვისა და მათი ჩამოწერის/უტილიზაციის დოკუმენტების შესწავლა, ასევე, პროგრამების განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების მიერ ინტერვიუერებისას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესისითვის მუდმივად უზრუნველყოფილია მასალა-ნედლეულის მიწოდება.

7. ***ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას***. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით“, რომლის თანახმად კოლეჯში სასწავლო პროგრამების სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოიყენება (PDCA) პრინციპი - „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე“ და მოიცავს შესაბამის ეტაპებსა და ციკლებს.

აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებას და მათ განვითარებაზე ზრუნვას. შეფასების პროცესის ადმინისტრირება/კვლევის ჩატარების პერიოდულობა და სიხშირე განსაზღვრულია: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და პროგრამის დასრულების პერიოდებში. მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის შეფასება გათვალისწინებულია ასევე ხარისხის მართვის სამსახურის წლიურ სამოქმედო გეგმაშიც.

დაწესებულებას კვლევის ჩასატარებლად შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლებიც მუშავდება სტატისტიკურად. ყველა შედეგი გროვდება ხარისხის მართვის სამსახურში. შედეგების საფუძველზე კეთდება შესაბამისი ანგარიში, განიხილება ხარისხის მართვის სამსახურის სხდომებზე, პსდ-ში ერთობლივად, თანამონაწილეობითი პრინციპით დგება კონკრეტული საჭიროებისათვის განვითარების/სამოქმედო გეგმა, მუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა გამოკითხვის ანკეტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში, ხარისხის მართვის სამსახურის სხდომის ოქმები.

დოკუმენტაციის შესწავლითა და ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

8. ***პსდ-ის შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები (ქალებისთვის, მამაკაცებისთვის და ადაპტირებული კვანძები შშმ პირებისთვის ასევე მამაკაცებისთვის და ქალებისთვის),*** რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას;

9. **პსდ-ის ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.** ბუნებრივი და ხელოვნური განათება უზრუნველყოფილია ასევე ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის განკუთვნილ ყველა სამუშაო სივრცეში.

10. ***სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.*** კოლეჯის შენობა არის ერთსართულიანი, აქვს ფოიე, სასწავლო აუდიტორიები, სველი წერტილები, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, რომლებიც ისეა განლაგებული, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესი შეუფერხებლად ხორციელდება. დაწესებულებაში არაა ერთმანეთში გამავალი ოთახები. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილია ინდივიდუალური აუდიტორიები თეორიული სწავლებისთვის (A სასწავლო გარემო), კომპიუტერული კაბინეტი და პრაქტიკის განხორციელების სივრცე. სასწავლო აუდიტორიებში, პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ დასვენების სივრცეებში შესვლა შესაძლებელია შეზღუდვების გარეშე.

ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. ***მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.*** პსდ-ს ბიბლიოთეკა ასრულებს სასწავლო, ინფორმაციულ და საგანმანათლებო ფუნქციებს. რაც გულისხმობს საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირება-ორგანიზება-დაცვას, კოლეჯის უზრუნველყოფას სასწავლო მასალით (წიგნები, ჟურნალები, აუდიო-ვიზუალური რესურსი და სხვ.) და წიგანდი ფორნდის მუდმივ გადახედვა-განახლებას.

პსდ-ს ბიბლიოთეკის საქმიანობის რეგულირებისთვის შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლის თანახმად, ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დილის 10.00 სთ-დან – 18.00-მდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

კოლეჯის ბიბლიოთეკის მკითხველად რეგისტრირება შეუძლია დაწესებულების ყველა თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს; ბიბლიოთეკაში მკითხველისთვის განთავსებულია სამუშაო მაგიდები (სულ 4 სამუშაო ადგილი). ბიბლიოთეკაში განთავსებულია ბიბლიოთეკარის სამუშაო მაგიდა კომპიუტერით და პრინტერით ასლის გადაღების (მათ შორის ელექტრონული) ფუქციით (ბიბლიოთეკის ფართი 21,78 კვ.მ).

წიგნადი ფონდი ინვენტარიზებულია და დამუშავებულია საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად. არსებობს აღრიცხვის როგორც მატერიალური ისე ელექტრონული კატალოგები (ელკატალოგში რეგისტრირებულია სულ 816 ერთეული სასწავლო რესურსი/სახელმძღვანელო). ელ კატალოგი და რესურსი განთავსებულია პსდ-ის ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილ სივრცეში. ვებ-გვერდზე გათავსებულია ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. წესები თვალსაჩინოდაა განთავსებული საბიბლიოთეკო სვრცეშიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასატრო კოდი 01.17.01.005.007)
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზები;
3. ქონების შესყიდვების და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №47 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ 09.12. 2021
5. ბიბლიოეთკის წიგნადი ფონდის კატალოგები
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №42 «მატერიალური რესურსების მართვის წესი“ 09.12. 2021
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №34 „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის დებულება“ 06.12.2021
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №36 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“ 06.12.2021
9. ხმ მენეჯერის სამსახურის სხდომის ოქმები (№1 29.06.2022; №2 29.06.2022)
10. შეფასების კითხვარები და ხმ ანგარიში პროგრამების განხორციელების შესახებ
11. ელექტროენერგიისა და კომუნალური მომსახურების გადახდის დამადსტურებელი ქვითრები
12. დაწესებულების ვებ-გვერდი
13. ვიზუალური დათვიერების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

14. პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, შენობის ტექნიკური მდგრადობის ინსპექტირების შედეგების შესახებ, რომლის თანახმად შენობა-ნაგებობა მიუხედავად მცირედი დაზიანებებისა აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო წესების და ნორმატივების მოთხოვნებს და ვარგისია ექსპლოატაციისთვის.

   პსდ-მ წარმოადგინა ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, დაწესებულებაში განხორციელებული სახანძრო უსაფრთხოების გამოკვლევის აქტი (№120, 19.07.2022) და მიწერილობა (№1997444, 20.07.2022), რომლის თანახმად პსდ-ს მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ სტანდარტების მოთხოვნებს.

   დაწესებულების მთელ პერიმეტრზე განთავსებულია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები და კვამლის აღმომჩენი დეტექტორები. უზრუნველყოფილია დაწესებულების როგორც შიდა, ისე გარე სივრცეების ვიდეო კონტროლი.

   წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დასტურდება რომ პსდ-ს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**. ამ მიზნით, შემუშავებულია პროცედურა „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დებულება“, ამასთან დაწესებულებაში გამოყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები (2.ს.ე.), რომელთაც ევალებათ აღნიშნული სერვისის გაწევა. იქედან გამომდინარე, რომ პრაქტიკულ მეცადინეობებზე პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებელია შეხება მოუწიოთ გარკულ ალერგენებთან და ქიმიურ საშუალებებთან (მცენარეები, ქიმიური ნივთიერებები და ა.შ.), პრევენციის მიზნით, პსდ-ს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ადმინისტრაცია, წინასწარ შედგენილი კითხვარის გამოყენებით, ახდენს პროფესიული სტუდენტების ანკეტირებას. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ვალდებულებას წარმოადგენს პირველადი დახმარების საშუალებების ვარგისიანობის კონტროლი.

პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის გამოყოფილია სათანადო ინვენტარითა და საშუალებებით აღჭურვილი სივრცე (სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პუნქტი). თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი (112).

ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასებით, კოლეჯი სათანადოდ რეაგირებს პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით. პსდ-ს ყველა სივრცეში, ინფექციის პრევენციის მიზნით, გამოკრულია COVID-19-თან დაკავშირებულ ინფოგრაფიკა (პრევენციულ ღონისძიებები, საინფორმაციო პოსტერები, დისტანცირების შეზღუდვის ნიშნები), შენობაში უზრუნველყოფილია სანიტაიზერები.

ფაქტობრივი მდგომარეობითა და დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და საჭიროებისას უზრუნველყოფს მას.

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.** შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომლის მიზანია ტექნოგენურ სიტუაციებში ეფექტური რეაგირებისა და ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა და პსდ-ის პერსონალის დაცვა. დოკუმენტით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი და წევრები (საგანგებო შტაბის უფროსი, ევაკუაციზე, წესრიგის დაცვაზე, შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირები, ექიმი), ასევე ამ პირების პასუხისმგებლობები, მოვალეობები და დაქვემდებარების იერარქია. დოკუმენტით შეფასებულია საფრთხეები და რისკები, აღწერილია შესაბამისი სცენარები და მათი მართვის ღონისძიებები.

   დოკუმენტი შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შეთანხმების წერილი №1870844, 08.07.2022).

   პსდ-ის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელია დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი მომზადება და სამუშაო გამოცდილება.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზითა და ფაქტობრივი მდგომარეობით დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები.

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.** საკათედრო ტაძრის სრულ პერიმეტრზე დაცვა უზრუნველყოფილია. უშუალოდ კოლეჯში წესრიგის დაცვაზე პასუხიმგებლია სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომლის მოვალეობებშიც შედის როგორც კოლეჯის შიდა, ისე მის მიმდებარე პერიმეტრზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

უსაფრთხოების კონტროლი, დაცვა, ასევე პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მონიტორინგი, პსდ-ის სან-ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლი, საგანგებო სიტუაციებში სამედიცინო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციებისას, შესაბამისი სამსახურებისთვის ინფორმაციის მიწოდება. პსდ-ში წესრიგის დაცვაზე უშუალო ზედამხედველობას ახორციელებს ასევე დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ დარგში.

უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის შიდა და მიმდებარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო-კონტროლის სისტემით. პსდ-ის შიდა რეგულაციებით გაწერილია საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით ვიდეო-კონტროლის განხორციელება, გამოყოფილია კონტროლსა და ვიდეოჩანაწერებთან წვდომაზე პასუხისმგებელი პირები.

წესრიგის დაცვის მექანიზმები გაწერილია დაწესებულების „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“-სა და „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის დებულება“-ში. ასევე შინაგანაწესით. შინაგანაწესშივეა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები. იქედან გამომდინარე, რომ შინაგანაწესის ძირითადი ნაწილი ფაქტობრივად არის შრომითი ურთიერთობების დებულებები და არ წარმოადგენს მხოლოდ დაწესებულებაში ქცევის ნორმებს, სასურველია, რომ პროფესიული სტუდენტებისთვის შემუშავდეს ცალკე დებულება ან წესრიგის დაცვის დებულებები გაიმიჯნოს შრომითი ურთიერთობების შიდა მარეგულირებელი ნორმებისაგან.

<u>**განვითარების რეკომენდაცია**</u>

სასურველია გაიმიჯნოს შინაგანაწესში პროფესიული სტუდენტებისა და პსდ-ს პერსონალის ქცევისა და შორმითი ურთიერთობების შესახებ დებულებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №34 „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის დებულება“ 06.12.2021
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №46 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესი“ 09.12.2021
3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ტექნიკური მდგრადობის ინსპექტირების შედეგების შესახებ (№03377722 25.05.2022)
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, პსდ-ში განხორციელებული სახანძრო უსაფრთხოების გამოკვლევის აქტი (№120, 19.07.2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (№01997444, 20.07.2022) დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (№01870844, 08.07.2022) პსდ-ს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის საგანგებო მართვის გეგმა (ბრძანება №21, 12.07.2022)
8. ვიზუალური დათვალიერების შედეგები
9. პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, არსებული პარამეტრებითა და პროგრამული უზრუნველყოფით, შეესაბამება დაწესებულების პროცესებს**. ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის მფლობელობაში აქვს **31 კომპიუტერი, საიდანაც: 9 ერთეული განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის. სწავლების მიზნებისთვის გამოიყენება 22 კომპიუტერი: B გარემოში განთავსებულია 18 ერთეული კომპიუტერი (პროფესიული სტუდენტისთვის 17 ს.ა. და 1 ს.ა. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის). დანარჩენი გადანაწილებულია ბიბლიოთეკასა და A სასწავლო გარემოში (სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის)**. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

კოლეჯს, ინტერნეტ პროვაიდერთან, გაფორმებული აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში სარგებლობს ჰოსტინგით (პსდ-ს დომენი www.dmsk.ge), უწყვეტი ინტერნეტით, საკომუნიკაციო საშუალებებით და საკომუნიკაციო მომსახურებებთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებებით.

სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში ინსტალირებულია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფა (საოფისე პროგრამები, გრაფიკული კომპიუტერული პროგრამა - Archi CAD).

ექსპერტთა მიერ მოხდა IT ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება, პარამეტრების შესაბამისობის, ინტერნეტ-პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადების და პირობების გადამოწმება. შესწავლილი იქნა, ასევე კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შემოწმების შედეგად **დასტურდება, რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და პროგრამული უზრუნველყოფა.**

2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.** ინფორმაციული ტექნოლოგიების/ინფრასტრუქტურის ეფექტიანად მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, პსდ-ს მომსახურების ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი), რომელიც ამავდროულად არის პსდ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი. პერსონალის განმარტებით, რეგულარულად ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასება, პროგრამების, მათ შორის ანტივირუსული, ინსტალირება და ა.შ. რასაც მოწმობს ფაქტობრივი გარემოებაც, თუმცა განხორციელებული საქმიანობისა და რისკების მართვის დამადასტურებელი დოკუმენტირებული ინფორმაცია წარმოდგენილი არ ყოფილა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის საკითხები გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების სეპციალისტთან გაფორმებულ ხელშეკრულებასა და მატერიალური რესურსის მართვის წესში. IT ინფრასტრუქტურის ეფქტურობის შეფასებას მოიცავს ხარისხის მართვის სამსხურის ანკეტა-კითხვარებიც.

ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პსდ-ს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტს, რომელმაც დეტალურად აღწერა შესრულებული სამუშაოების შინაარსი, IT რისკები და მათი პრევენციული ღონისძებები, თუმცა აღნიშნა რომ ჩანაწერებს არ აწარმოებს.

<u>განვითარების რეკომენდაცია</u>
სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს IT ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მომსახურებისა და რისკების მართვის დოკუმენტირება (რისკების იდენტიფიცირება/შეფასება, აღმოფხვრისა და პრევენციული ღონისძიებების/გეგმის შემუშავება).

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.** პსდ-ში მოქმედებს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი. შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, რომლითაც იდენტიფიცირებულია საქმიანობისას დასამუშავებელი მონაცემები, დამუშავების მიზნები. ასევე პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება მონაცემებზე წვდომა-დამუშავების შესახებ. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სტუდენტური ბაზების ადმინისტრირების საკითხებს (მუხლი 7). წესი ითალისწინებს დაწესებულებაში ვიზიტორთა აღრიცხვის თავისებურებებსა და მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. დოკუმენტით დადგენილი წესები შესაბამისისა პერსონალურ მონაცმთა დაცვის შესახებ საქართველო კანონის მოთხოვნებთან.

საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, პერსონლათან და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულია შეთანხმების აქტი (შეთანხმების ფურცელი), პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ფაქტობრივი გარემოებებისა და დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პსდ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. **პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას,** რაც გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხებს მოიცავს მატერიალური რესურსების მართვის წესიც.

   კოლეჯს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შესაფასებლად შემუშავებული აქვს პერსონალის და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ფორმები (კითხვარები), რომლის საფუძველზეც ახდენს შეფასებას. კერძოდ, ხდება კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მისი განხილვა-ანალიზი (იხ. ასევე 5.1.2.(2) და 5.1.1.(7) ინდიკატორების აღწერა).

5. ***პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.*** აღნიშნული საკითხები რეგულირდება პსდ-ს მატერიალური რესურსების მართვის წესით (მუხლი 5) და ხელშეკრულებებით. წესის თანახმად პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით ისარგებლონ სამუშაო დღის საათებში 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტისგან მიიღონ სხვადასხვა სახის კონსულტაცია ტექნიკისა და ინტერნეტით მომსახურების შესახებ.

   სასწავლო აუდიტორიებსა და პერსონალის სამუშაო ოთახებში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, რომლებიც მუდმივად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისათვის ისე პერსონალისთვის. IT ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობა ასევე შესაძლებელია პსდ-ს ბიბლიოთეკაში, რაც დამატებით რეგულირდება ბიბლიოთეკის დებულებით. დებულების თანახმად, პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით, სამუშაო დღის საათებში (09:00 საათიდან 18:00 საათამდე).

   პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან შეუზღუდავი წვდომა დასტურდება.

6. ***პსდ-ს უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.*** კოლეჯს შექმნილი აქვს შიდა საკომუნიკაციო-ელსაქმისწარმოების სისტემა system.dmsk.ge, სადაც წვდომა აქვს ყველა პერსონალს. პსდ-ს იდენტიფიცირებული აქვს საკომუნკაციო არხები/სისტემები, რომლითაც ახდენს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას. ესენია: Mc Teams'; Zoom; Facebook და პსდ-ს ვებ-გვერდი. თუმცა დაინტერესებული მხარეების, კურსდამთავრებულებისა და პროფესიული სტუდენტების მოთხოვნით, მათთან ინფორმაციის გაცვლა ხდება ძირითადად სოციალური ქსელის (Facebook) დახურულ ჯგუფებში. კოლეჯის დომენით მოქმედებს და შექმნილია ასევე პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ელქტრონული ფოსტის ერთიანი ბაზა, რომლის მეშვეობითაც ასევე ხორციელდება მათი ინფორმირება (სიახლეების მიწოდება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №42 «მატერიალური რესურსების მართვის წესი“ 09.12. 2021
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №47 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ 09.12. 2021
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №43 «პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“ 09.12.2021
4. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ შეთანხმების ფურცლების პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან
5. ინფორმაციული ტექნოლოგიების ფლობის/შესყიდვის დოკუმენტაცია
6. ინფორმაციული ტექნოლოგიების ადგილზე შემოწმებისა და შეფასების შედეგები
7. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების სააბონენტო ხელშეკრულება სს „სილქნეტთან“ 03.02.2022
8. ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიში პროფესიული სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შესახებ
9. შიდა საკომუნიკაციო ქსელი system.dmsk.ge და ადგილზე შემოწმების შედეგები
   პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, სადაც განსაზღვრულია დოკუმენტის სახეები, მათი წარმოების, რეგისტრაციის, დოკუმენტების შესრულების ვადები და შენახვის წესები. დოკუმენტი ითვალისწინებს ასევე ნომენკლატურის შემუშავების, დოკუმენტების არქივირებისა და შენახვის ვადების განსაზღვრის წესებს. პსდ-ს საქმისწარმოებაზე ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებს საქმისწარმოების მენეჯერი. დაწესებულების მიერ ***შემუშავებული წესი კანონმდებლობასთან შესაბამისია.***

საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით პსდ-ში გამოიცემა ორი სახის ბრძანება - საკადრო და საერთო. ექსპერტების მიერ შემოწმდა ბრძანებების საქმეები, რეგისტრაციის ჟურნალები. *რეკომენდაციები გაიცა მატერიალური ფორმით დოკუმენტების აღრიცხვასთან დაკავშირებით, რომელიც საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად აკინძული, დალუქული და დამოწმებულია საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის - საქმისწარმოების მენეჯერის მიერ. გამომდინარე იქედან, რომ ჟურნალების წარმოებაზე პასუხისმგებელი არის თავად საქმისწარმოების მენეჯერი, რეკომენდებული არაა, რეესტრის დამმოწმებას ახდენდეს იგივე პირი. ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, პსდ-ში არსებული მატერიალური ფორმის რეესტრები დამოწმებული იქნეს იერარქიულად ზემდგომი პირის მიერ, რათა გამორიცხული იქნეს ინტერესთა კონფლიქტი.*

დაწესებულებას მატერიალური საქმისწარმოების გარდა აქვს შიდა ელექტრონული საქმისწორმოების ქსელი - system.dmsk.ge. ქსელი უზრუნველყოფს დოკუმენტების გაზიარებას პერსონალთან და მასზე მუშაობას. თუმცა მისი მეშვეობით არ ხდება გარე მომხმარებელთან დოკუმენტაციის მიმოცვლა/დოკუმენტბრუნვა.

ექსპერტთა ვიზიტის დღეს კოლეჯი ჩაერთო ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (e-flow), რის მტკიცებულებად წარმოადგინა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან მომოწერის კორესპონდენცია, მათ შორის, თანხმობის წერილი და ერთიან ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ჩართვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი, ელსაქმისწარმოების სისტემაში 3 მომხმარებლის რეგისტრაციის პირობით. გაფორმებული ხელშეკრულება (01.11.2022) პსდ-ის მიერ წარმოდგენილი იქნა არგმენტირებულ პოზიციასთან ერთად.

ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, პსდ-ის საქმისწარმოება კანონმდებლობასთან შესაბამისია.

<u>განვითარების რეკომენდაცია</u>
მატერიალური ფორმით დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალების დამოწმებისას გათვალისწინებული იქნეს ინტერესთა კონფლიქტის პრინციპი.

2. ***პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.*** პსდ-ს ყველა პერსონალი უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით (კომპიუტერი, ბეჭდვის, ასლის გადაღების საშუალებები და სხვ). პსდ-ს მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია ვიდეოკონტროლის სისტემა, საქმიანობისას იყენებს საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, შიდა საკომუნიკაციო ქსელს - system.dmsk.ge, ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას e-flow-ში (იხ. 5.2.2.(1) ინდიკატორის აღწერა). დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის სხვადასხვა წყარო, რომელსაც აქტიურად იყენებს როგორც კომუნიკაციის, ისე მართვისთვის. თათბირების, გამოკითხვებისა და სასწავლო პროცესისთვის იყენებს Google-ს, Zoom-ის და Mc Teams' სერვისებს.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პსდ-ის მართვაში, მათ შორის საქმისწარმოებაში, გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები.

3. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების გვერდი. დაწესებულების მატერიალური-ტექნიკური ბაზის, პერსონალის (ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები), პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილადაა შეყვანილი. ამომწურავი ინფორმაციაა ასევე კურსდამთავრებულების შესახებ, მათ შორის შეტანილია გაცემული დიპლომების რეკვიზიტები, თუმცა რეესტრში არაა ატვირთული დიპლომის და დიპლომის დანართის ელექტრონული ასლები. სრულყოფილად ინფორმაციის ასახვისთვის გაიცა რეკომენდაცია, ბაზაში ატვირთულ იქნეს პსდ-ს მიერ გაცემული პროფესიული განათლების დამდასტურებელი დოკუმენტების ელექტრონული ასლები.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა, ასევე პროფესიული სტუდენტების სტატუსთან (შეჩერება/შეწყვეტა) კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაციის/რეკვიზიტებისა და შესაბამისი დოკუმენტების სიზუსტე და ბაზაში სრულყოფილად ასახვა. შემოწმებით დადგინდა, რომ ***პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

<u>**განვითარების რეკომენდაცია**</u>

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ატვირთული იქნეს კურსდამთავრებულების მონაცემებთან პროფესიული განათლების დამდასტურებელი გაცემული დოკუმენტების ელექტრონული ასლები.

4. ექსპერტების მიერ გადამოწმდა პსდ-ს მიერ მაკონტროლებელ უწყებასთან განხორციელებული უკუკავშირის შესახებ მტკიცებულებები. დაწესებულების მიერ ბოლო კორესპონდენცია, რომელიც სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებშია გადაგზავნილი, ეხება პსდ-ს და ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას მიწოდებას. შესაბამისად, **პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №14 „საქმისწარმოების ერთიანი წესი“ 16.05.2022
2. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის კორესპონდენცია და e-flow-ს სისტემაში ჩართვის შესახებ
3. შეხვედრებისა და მეცადინოების ამსახველი მასლა (ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტო მასლა)
4. პსდ-ს დოკუმენტაცია (ბრძანებები, კორესპონდენცია, დოკუმენტების რეესტრები)
5. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების გვერდი
6. პსდ-ს მიერ სსიპ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრისთვის გაგზავნილი კორესპონდენცია
7. შიდა საკომუნიკაციო ქსელი system.dmsk.ge და ადგილზე შემოწმების შედეგები
8. საქმისწარმოების მენეჯერთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი გარემოებების შედგები
9. ერთიან ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში ჩართვის შესახებ ხელშეკრულება (01.11.2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.** ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია: დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესთან დაკავშრებული აქტივობების, განხორციელებული პროექტების შესახებ. სიახლეების განთავსება ატარებს სისტემატურ ხასიათს (ბოლო ინფორმაცია განთავსებულია 12.10.2022 მეორადი ჩარიცხვების შესახებ), ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიწოდების ინტერესს.

ვებ-გვერდზე განთავსებულია სტანდარტით დადგენილი პსდ-ს შესახებ აუცილებელი ინფორმაცია: მისია, ხედვა ღირებულებები, პსდ-ს სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ანგარიშები, ინფორმაცია ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების შესახებ, რუბრიკა „კოლეჯის შესახებ“, მარეგულირებელი აქტები, დიპლომის ფორმა, საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამების კატალოგი, სასწავლო ცხრილები, ადმინისტრაციული და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია (არსებობს პერსონალის შეთანხმების აქტები პერსონალური მონაცემების გასაჯაროების შესახებ. იხ. პუნქტი 5.2.1. (3) აღწერა).

ვებგვერდზე განთავსებულია სოციალური ქსელის მისამართები, ასევე პსდ-თან საკომუნიკაციო საფოსტო ყუთი, რომელთა საშუალებებითაც შესაძლებელია დაწესებულებაის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. პსდ-ს პრიორიტეტი არაა უცხოენოვანი პროგრამების განხორციელება, შესაბამისად დაწესებულების ვებგვერდი არის მხოლოდ ქართული.

3. ***პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.*** პსდ-ს მიერ გამოყოფილია პირი, რომელიც პასუხისმგებელია ვებგვერდისა და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის განთავსება-მართვაზე. ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია როგორც პროგრამების, სხვადასხვა აქტივობების, პსდ-ს მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია, ანონსები საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება/რეგისტრაციისა და მიღების პროცედურების შესახებ. აღნიშნული საკითხები რეგულირდება პსდ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით, რომლის თანახმადაც დაწესებულების ნებისმიერი პერსონალის ვალდებულებას წარმოადგენს აწარმოოს კომუნიკაცია როგორც კოლეჯს შიგნით ისე, მის გარეთ, იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის უტყუარობა, ასევე კოლეჯის ინტერესების გათვალისწინებით, მისი საქმიანობის შესახებ გაკეთებული საჯარო განცხადებები შეათანხმებული იუნდა ქნეს დირექტორთან ან საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტთან (საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, მუხლი 3. საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები). აღნიშნული გარემოება დასტურდება ფაქტობრივი შემოწმების შედეგადაც. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პსდ-ს ვებ-გვერდი და სოციალურ ქსელი (https://www.facebook.com/www.dmsk.ge)

საკითხის შესწავლისას დასტურდება, რომ დაწესებულების მიერ, საქმიანობასა და საგანმანათლებლო პროგრამებზე, მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება ხდება.

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ**. კატალოგისთვის ვებ-გვერდზე გამოყოფილია ცალკე სივრცე. კატალოგი მოიცავს დაწესებულების შესახებ საკონტაქტო რეკვიზიტებს, პსდ-ს და მისი პარტნიორების, პერსონალის შესახებ ინფორმაციას, დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარებულია დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები.

კატალოგში შეტანილია ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ყველა საჭირო ინფორმაცია (პროგრამის დონე, კრედიტები, კვალიფიკაცია, მისაღწევი სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდები, სწავლის ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები). კატალოგი ილუსტრირებულია სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტოებით.

5. ***პროგრამების კატალოგი პსდ-ს მიერ ახლდება წლიურად.*** ვებ-გვერდზე წარმოდგენილია 2022 წლის კატალოგი, რომელშიც წარმოდგენილია დაწესებულების ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ვიზიტის დროს აღნიშნული საკითხის შესწავლისას, ექსპერტების მიერ მოთხოვილი იქნა გასული წლების კატალოგები, რაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონულ ფორმატში. ***შესაბამისად, პსდ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები ახლდება ყოველწლიურად.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.** ამ მიზნით შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომლითაც განსაზღვრული აქვს საკომუნიკაციო არხები/სოციალური ქსელები ყველა საკომუნიკაციო არხი და ვებ გვერდის დანიშნულებაა პსდ-ს პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და პოპულარიზაცია. პსდ-ს განსაზღვრული აქვს საკომუნიკაციო არხებიდან შემოსული ინფორმაციის დამუშავება-რეაგირების ვადები. სოციალური ქსელებით შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირება პსდ-ს მიერ ხდება მყისიერად, რაც ასევე დადასტურდა შემოსული შეტყობინებებისა და მათზე პსდ-ს მიერ პასუხის გაცემის ვადების შემოწმებისას.

დაინტერესებული მხარეებიდან საქმიანობასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, პსდ-ს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პროცედურაში სხვადასხვა გამოკითხვის ანკეტები, რომლებიც ითვალისწინებს დაინეტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მასწავლებლები და ა.შ.) კვლევას. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება კვლევა, რის საფუძველზეც ხდება საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა/გატარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №38 „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“ 07.12.2021
2. საგანმანათლებლო პროგარმების კატალოგი
3. პსდ-ს ვებგვერდი და სოციალური ქსელი (https://www.facebook.com/www.dmsk.ge)
4. სტუდენტური სერვისებით პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევები (2020 წ.; 2021 წ.)
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №36 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“ 06.12.2021
6. პსდ-ს ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში და ხარისხის სამსახურის სხდომის ოქმები განხორციელებული კვლევის შესახებ (№1 29.06.2022; №2 29.06.2022)
7. ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე. კერძოდ, კოლეჯი იღებს საბიუჯეტო, პროგრამულ და ვაუჩერულ დაფინანსებას. გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, პსდ-ს სტრატეგიული ამოცანების შესრულება უზრუნველყოფილია სქართველოს საპატრიარქოს მიერ. პსდ-ს მეთოდოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით სამოქმედო გეგმების შესრულებისთვის დამოუკიდებლად დგება ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა/ბიუჯეტი (იხ. ინდიკატორის 1.2.1 (3) აღწერა). პსდ-ში დამკვიდრებული პრაქტიკით წლის ბოლოს კეთდება მომავალი წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. დაწესებულება ფინანსურ ანგრიშგებას ყოველწლიურად ახდენს როგორც მაკონტროლებელ ორგანოებთან, ისე დამფუძნებელთან, საქართველოს საპატრიარქოსთან.

ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგეად, ***პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულება,*** რასაც მოწმობს პსდ-ს მიერ წარმოდგენლი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. **საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით,** რასაც მოწმობს პსდ-ს ფინანსური დოკუმენტაცია. კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია სსიპ საქართველოს საპატრიარქოს და სახელმწიფო დაფინანსებით. ხარჯები მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური გადასახადების, ისე მომსახურების, შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა დაწესებულების ფინანსური დოკუმენტაცია, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სახელფასო ანაზღაურების, სხვადასხვა მომსახურების და ინვენტარის შესყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ. ასევე საგანმათლებლო პროგარმებისთვის საჭირო რესურსების მოთხოვნა-მიწოდების დამდასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. შემოწმების შედეგად **დადგინდა, რომ კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.**

3. ***დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას*** და ანგარიშგებას დამფუძნებელთან, რაც დადასტურდა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და ფინანსური ანგარიშების შესწავლით. პსდ ფინანსურ ანგარიშგებას ახდენს ყველა განხორციელებული პროგრამის/პროექტის ფინანსურ ანალიზსა და ანგარიშგებას. ასევე აწარმოებს დაფინანსების დინამიკის ანალიზს, რის საფუძველზეც ახდენს მომდევნო წლების ფინანსური გეგმების კორექტირებასა და სამოქმედო გეგმების ფორმირებას. ასე მაგ. ფინანსური ანალიზის საფუძველზე, დაწესებულების მენეჯმენტის მიერ, მიღებული იქნა დაფინანსების დივერსიფიცირების შესახებ გადაწყვეტილება და სტრატეგიულ გეგმაში შეტანილი იქნა პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დამატების შესახებ სტრატეგიული ამოცანა.

4. **დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე,** რისთვისაც ახორციელებს ყოველწლიურ ანგარიშგებას, რის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება როგორც დამფუძნებლებს, ისე პერსონალს. პსდ-ს მენეჯმენტი ასევე აწარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების (საპროგნოზო, განხორციელების) ანალიზს, რომლის საფუძველზეც, ბიუჯეტების დაგეგმვისას, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის კორექტირებას.

სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშები, დაინტერესებული მხარეებისთვის, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, თუმცა ანგარიში არ მოიცავს სტატისტიკას, მონაცემებს ფინანსური მონაცმების/დაფინანსების დინამიკის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხილული იქნა წინა წლების კოლეჯის დაფინანსების, ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკა, წყაროები, **შესაბამისად, დაგინდა, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

<u>განვითარების რეკომენდაცია</u>

სასურველია სამოქმედო გეგმების ანგარიშში ასახული იყოს ზოგადი მონაცემები/პროცენტული მაჩვენებლები ფინანსური ანალიზის/დაფინანსების დინამიკის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პსდ-ს 2022 წლის ბიუჯეტი
2. პსდ-ს 2022 წლის სამოქმედო გეგმა
3. პსდ-ს 2019, 2020, 2021 წლის სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები
4. პსდ-ს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების დოკუმენტაცია
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №37 "საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის დამტკიცების შესახებ" (07.12.2021)
6. პსდ-ს ვებ-გვერდი
7. პერსონალთან და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	**მებაღეობა**
პროფესიული განათლების დონე	მე-4
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ქვემო „ელია“-ს დასახლება, წმინდა „სამების“ საკათედრო კომპლექსი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.***

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 დეკემბერის №40 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა-შემუშავებისა და დაგეგმვის საკითხებს. მეთოდოლოგიის თანახმად, კოლეჯში პროგრამა მუშავდება საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შემუშავების და ავტორიზაციისთვის მომზადების მიზნით, ხარისხის მართვის სამსახურის წარდგინებით, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, რომელშიც შედიან: ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელი, დარგის სპეციალისტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დირექციის წარმომადგენლები, სასწავლო პროცესის სამსახური.

სამუშაო ჯგუფი პროგრამის შემუშავების პროცესში ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორს: დარგის სპეციალისტთა მიერ განსაზღვრულ საჭიროებებს, საკანონმდებლო ცვლილებებს და ა.შ. სამუშაო ჯგუფი ახდენს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამისა და მოდულების ადაპტირებას კოლეჯის ინფრასტრუქტურასთან, მატერიალურ, საგანმანათლებლო და ადამიანურ რესურსებთან, ქმნის სასწავლო გეგმას, არჩევს საჭირო მასალას და შესათანხმებლად/შესაფასებლად წარუდგენს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს. შენიშვნებისა და რეკომენდაციების შემთხვევაში, პროგარმის პროექტი უბრუნდება სამუშაო ჯგუფს, შემდგომი დამუშავებისთვის, ხოლო შენიშვნების არქონის შემთხვევაში, წარედგენება დირექტორს დასამტკიცებლად.

პსდ-ს დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ დადასტურდა, რომ პროგრამა დამტკიცებულია და წარმოდგენილია სასწავლო დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციების შეაბამისად.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულება განიხილავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

— კოლეჯის მისია, რომელიც ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და ეკოლოგიური ცნობიერების მქონე კვალიფიციურ სპეციალისტების მომზადებაზე. ასევე სამოქმედო გეგმები სტრატეგიული მიზნები, ამ დარგის მიმართულებით სწავლების და საქმიანობის გამოცდილება, რომლის საფუძველზეც კოლეჯი კვლავაც შეძლებს წარმატებით მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები აღნიშნულ სფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი რაოდენობის კვალიფიკაციური ადამიანური რესურსი: პროფესიული მასწავლებლები (როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი) და ადმინისტრაციული პერსონალი.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი არსებული რესურსები (მატერიალური, საგანმანათლებლო) მოწყობილი სასწავლო გარემო და ინფრასტრუქტურა.
- პროგრამის მიმართ მაღალი ინტერესი მუდმივად (მსურველთა რაოდენობა ხშირად აღემატება მისაღები ადგილების რაოდენობას) და დამსაქმებელთა მოთხოვნა ამ სპეციალიტებზე. დაწესებულების კვლევის მიხედვით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა 70 % დასაქმებულია ამავე სფეროში.
- დაწესებულებას საპატრიარქოს მხრიდან კოლეჯის საწესდებო მიზნებისთვის, სასწავლო დანიშნულებითა და მოვლის უფლებით გადმაცემული აქვს წმ. სამების სამონასტრო კომპლექსის პარკი (106 820.00 კვ.მ), ბუკიას ბაღი, ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „გარდენია“-სთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული ნაწილის წარმატებით გავლას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ყურადღება გამახვილდა მებაღეობის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გადინების მაჩვნებელზე. პსდ-ს მიერ მოწოდებული მონაცემებით, მიმდინარე წელს, აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუჩერებული აქვს 24 პირს. კოლეჯის ადმინისტრაციის განმარტებით, სწავლის შეწყვეტის/სტატუსის შეჩერების მიზეზია, პრაქტიკული კომპონენტის დავალებების შესრულება, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ფიზიკურ შრომასთან. მიუხედავად შერჩევის ეტაპზე დეტალური კონსულტაციებისა, პროფესიის და სამუშაოების ტიპის შესახებ, მაინც წარმოდგენა აქვთ, რომ პსდ-ს ყველა პროგრამის სასწავლო პროცესი და სამუშაოები დაკავშირებულია მხოლოდ ფლორისტიკასთან, დიზაინთან. ადმინისტრაციის პერსონალის განმარტებით, ამასთან დაკავშირებით სამოქმედო გეგმებში შეტანილი აქვთ სწორედ მებაღეობის პროფესიის პოპულარზაცია და სწორი შეხედულებების ჩამოყალიბება, თუმცა იმასაც აღნიშავენ, რომ ბოლო წლებში სულ უფრო მეტია გაცნობიერებული არჩევანი, რასაც ასევე ხელს უწყობს თვითდასაქმებისა და საკუთარი მეურნეობის მოწყობის მაღალი შესაძლებლობა. პოზიტიურ გავლენას ახდენს ასევე, ამ მიმართულებით სახლმწიფო გრანტის მოპოვების შესაძლებლობა და უკვე არსებული მეურნეობის გაძლიერება.

ექსპერტთა რეკომენდაციით, სასურველია კოლეჯმა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას დაურთოს კვლევა ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც უფრო ნათლად აჩვენებს ამ დარგის სპეციალისტების საჭიროებას, დასაქმების შესაძლებლობას და დამსაქმებლების მოთხოვნებს. ასევე საინტერესო იქნება კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისობრივი მონაცემების ანალიზით.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აქვს როგორც მატერიალური, ადამიანური ისე ფინანსური რესურსი, ჰყავს პერსონალი და თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტებთან: შპს“გარდენია“ და სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

<u>**განვითარების რეკომენდაცია**</u>

სასურველია კოლეჯმა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას დაურთოს კვლევა ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც უფრო ნათლად აჩვენებს ამ დარგის სპეციალისტების საჭიროებას, დასაქმების შესაძლებლობას და დამსაქმებლების მოთხოვნებს. ასევე საინტერესო იქნება კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისობრივი მონაცემების ანალიზით.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.** პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც ჩარჩო დოკუმენტის (მებაღეობა/Gardening სარეგისტრაციო ნომერი 08111-პ) შესაბამისია.

   მოთხოვნებთან შესაბამისია ასვე პროგრამაზე ჩარიცხვის პირობებიც. კოლეჯს შემუშავებული აქვს შიდა რეგულაცია „ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეწყვეტის წესი“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №42/ნ ბრძანების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს (02.07.2021).

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით, პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც დასტურდება პსდ-ს დოკუმენტაციით. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულია ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.** პსდ-ს პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა/დატვირთა, A, B და C გარემოსათვის განკუთვნილი სივრცეები და მათ გამტარუნარიოანობა, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის განკუთნილი მატერიალურ/ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალური მოთხოვნები(განხორციელების ფორმები, ხანგრძლივობა და ა.შ.), პროფესიულ სტუდენტთა გაზრდისას მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

გადანაწილებისა და ცვლებში სწავლების შესაძლებლობები. მეთოდოლოგიის თანახმად დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოსთან, ტექნიკურ აღჭურვილობასთან და კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში (დღეში 12-საათიანი/კვირაში 60-საათიანი დატვირთვით).

პსდ-ს თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი, რის შემდეგ დოკუმენტი დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს საგანმანათლებლო პროგრამის პროექტთან ერთად.

პსდ-ს შემუშავებული მეთოდოლოგიის თანახმად განსაზღვრული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მებაღეობა“ პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 85 კრედიტს. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება:

- A1 - სასწავლო გარემო (ფართი 45.71 კვ.მ) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 30;
- A2 - სასწავლო გარემო (ფართი 47,64 კვ.მ) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 30;
- B სასწავლო გარემო (ფართი 30,98 კვ.მ) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -17;
- თეორიული მეცადინეობისათვის გამოყოფილია №1 და №2 აუდიტორიები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში დატვირთული იქნება 60%-ით. პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაციული წიგნიერება ტარდება №4 აუდიტორიაში, რომლის გამტარიანობა კვირაში არ აღემატება 40 საათს. საჭიროებისას,ორი ცვლის შემთხვევაში, შესაძლებელია კვირეული 60 საათიანი დატვირთვაც.
- C - სასწავლო გარემო - სასწავლო მიწის ნაკვეთი (ფართი 106 820.00 კვ.მ) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 100;
- ადამიანური რესურსი - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მებაღეობა“ პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 29-ს.

<u>პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მებაღეობა“, პსდ-ს მიერ კონტინგენტი განისაზღვრა 100 პროფესიული სტუდენტით.</u>

პსდ-ს მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთან (ბუკიას ბაღი) და შპს „გარდენიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების შესახებ. პრაქტიკის ობიექტები აცხადებენ მზაობას მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ პროფესიული სტუდენტების რაოდენობა;

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.** საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, მათ შორის სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

მიწის ნაკვეთით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პსდ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული აღჭურვილობა აღემატება და ბევრად მრავალფეროვანია, ვიდრე ჩარჩო დოკუმენტითაა გათვალისწინებული. რაც შეეხება სასწავლო რესურსებს, კოლეჯის ბიბლიოთეკაში არის კოლეჯის პერსონალის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი უნიკალური სახელმძღვანელოები და სხვადასხვა სასწავლო მასალა. ბიბლიოთეკასა და აუდიტორიებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები (კატალოგები, ჰერბარიუმები).

საგნმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.**

6. ***საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის,*** კოლეჯის დირექტორის მიერ. აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების წესდებითა (მუხლი 8. პ.4 „ბ“) და დებულებით (მუხლი 8. პ.3 „ბ“). „**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგიის“** თანახმად საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლიელბების დამტკიცების უფლებამოსილება აქვს პსდ-ს დირექტორს. ცვლილების პროცედურა პროგრამის დამტკიცების ანალოგიურია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ დამტკიცებულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება N17 03.05.2019), ხოლო ცვლილება განხორციელებულია პსდ-ს დირექტორის 2022 წლის 4 მაისის N13 ბრძანებით (ცვლილებები განპირობებულია რეავტორიზაციისთვის პროგრამის დანართებში რესურსების განახლება-გაუმჯობესებას).

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.** საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ შემუშავებულია ამავე დასახელების პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, მისაღწევ სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში/Secondary Vocational Qualification in Horticulture).

პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, პროგრამის ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები და სფერო, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭება, კვლიფიკაციის მინიჭებასა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების საკითხს. ასევე ზოგადი, პროფესიული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

კონცენტრაციის მოდულებისა და ქართული ენის (A2, B1) დანართებს, სასწავლო გეგმას (ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებსა და პროფესიული სტუდენტის სასწავლო კვირეული დატვირთვისთვის დასაშვებ ნორმებს), ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ და სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ (თანდართული დოკუმენტებით);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №40 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგია 08.12.2021
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის წესდება
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №15 „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეწყვეტის წესი“, 07.07.2021
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №45 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 09.12.2021
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №12 „საზოგადოებრივი კოლეჯის შვიდწლიანი (2023-2029) სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ (03.05.2022)
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №1 „საზოგადოებრივი კოლეჯის ახალი საშტატო ნუსხის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და ხარისხის მართვის სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (10.01.2022).
10. პსდ-ს მისია
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ანალიზი და დასაბუთება;
12. პერსონალთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პსდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „მებაღეობა“ ახორციელებს მისამართზე: ქ.თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, წმინდა სამების საკათედრო კომპლექსი. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (**100 პროფესიული სტუდენტი),** გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი და სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურა. პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯის მფლობელობაშია შემდეგი სივრცეები და რესურსი:

A1 - სასწავლო გარემო (ფართი 45.71 კვ.მ) და **A2** - **სასწავლო გარემო** (ფართი 47,64 კვ.მ) - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 30-30; აუდიტორიებში განთავსებულია 30 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი.

B სასწავლო გარემო (ფართი 30,98 კვ.მ) - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -17; განთავსებულია მაგიდა და სკამი 17 პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, 17 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი/ასლგადამღები) 1 ცალი.

C - სასწავლო გარემო - სასწავლო მიწის ნაკვეთი (ფართი 106 820.00 კვ.მ) - კოლეჯის ეზოში არსებული სანერგე და დეკორატიულ კუნძულები, სათბური. სამების სამონასტრო კომპლექსის ეზო, დეკორატიული ბაღის გასაშენებლად გამოყოფილი ცარიელი მიწის ნაკვეთები. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 100;

პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ორ ობიექტთან - **შპს „გარდენია“ და სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“,** მხარეები ადასტურებენ, რომ ითანამშრომლებენ პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების საკითხებზე უვადოდ. სადაც შესაძლებელია განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულები საჭიროების მიხედვით, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისას პროფესიულ სტუდენტთათვის ხელმისწავდომია ორივე ობიექტის როგორც ფართი, ისე სასწავლო/სამუშაო რესურსი, პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, მემორანდუმი გაფორმებულია პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. მემორანდუმში გაწერილია მხარეთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, რესურსებით უზრუნველყოფა და სხვა პირობები. მემორანდუმის პირობები არ არღვევს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს/უფლებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პსდ-ს კურსდამთავრებულთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სწავლის პერიოდში პროფესიულ სტუდენტთათვის უზრუნველყოფილი იყო როგორც კოლეჯის, ისე პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა.

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე მებაღეობის პროფესიული პროგრამისთვის პსდ-ს გამოყოფილი აქვს თეორიული მეცადინეობისათვის ორი აუდიტორია (აუდიტორიები: №1; №2), რომლებიც დატვირთული იქნება 60%-ით. პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაციული წიგნიერება ტარდება B სასწავლო გარემოში (აუდიტორია №4) აუდიტორიაში, რომლის გამტარიანობა კვირაში არ აღემატება 40 საათს, საჭიროებისას, ორი ცვლის შემთხვევაში შესაძლებელია კვირეული 60 საათიანი დატვირთვაც. სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვისა და საჭიროებისას დისტანციური სწავლების ფორმატის, ასევე შეჭრილი ცხრილის შედგენის შესაძლებლობების გათვალისწინებით **პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. „მებაღეობის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას შერჩეული ჰყავს 29 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, ზოგადი მოდულისათვის - 4 , დარგობრივი მოდულებითვის - 25. თითოეული მოდულის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი.

ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა სასწავლო გეგმა, ცხრილები, პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც ადგილობრივი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ისე უცხოეთში დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერების მიზნით. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული გნათლების მასწავალებლები ჩართულები იყვნენ ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამისთვის სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პსდ-ს რეგულაციით განსაზღვრულია პროგრამის განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო და თანამდებობრივი მოთხოვნები, რომელთა თანახმად, პროფესიული პროგრამის განამახროციელებლ პირს უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან პროფესიით მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება.

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. მათი კვალიფიკაცია პსდ-ს მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისია.

4. საგანმანათლებლო ***პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.*** პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, განსაზღვრავს პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტებს, ზრუნავს პროგრამის შინაარსა და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის, ხოლო, სასწავლო პროცესის მენჯერთან ერთად ჩართულია შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცესებში. პროგრამის განხორციელებისას ახორციელებს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ყოველკვირეულად პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, განიხილავს სტუდენტთა დასწრების ჟურნალსა და პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს შესაბამისი ღონისძიების გატარების მოთხოვნით.

პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.** პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში. ვებ-გვერდზე განთავსებულია ელკატალოგი (ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი).

ვიზიტის ფარგლებში შერჩევითი წესით გადაამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ისე მატერიალური სახით. კოლეჯს გაციფრულებული აქვს სასწავლო რესურსი და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მომხმარებელს ელექტრონულ ფოსტაზე ეგზავნება სასურველი სახელმძღვანელო/მასალა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე შემოწმებული იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსებით სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან.

შეფასებისა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლიდ დასტურდება რომ პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. პსდ შემუშავებული აქვს მექანიზმები, სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურების შეთავაზების, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა. პსდ-ს შიდა რეგულაციებით გათვალსიწინებულია სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება. რეგულაციები და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

პსდ-ს პერსონალის განმარტებით დაწესებულებას სსსმ/შშმ პირები არ ჰყოლია, თუმცა შემუშავებული რეგულაციები და დაწესებულების მიდგომები, ასეთი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ***სსსმ პირების წვდომას პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.***

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტი მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროგრამული და სუფსიდირებული დაფინანსება. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი კლასფიცირებულია შემდეგნაირად: ხელფასი, მასალა და ნედლეული სხვა ხარჯი, რაშიც პსდ მოიაზრებს ადმინისტრაციული და კომუნალურ ხარჯებს. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარჯები იყოს უფრო დეტალიზებული, მათ შორის გათვალისიწნებული იყოს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის და ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ხარჯები.

პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 15 პროფესიული სტუდენტი. პროგრამისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროგრამის ბიუჯეტისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ **კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

<u>განვითრების რეკომენდაცია</u>

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარჯები იყოს უფრო დეტალიზებული, მათ შორის გათვალისწინებული იყოს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის და ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ხარჯები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ (თანდართული დოკუმენტებით ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსების შესახებ);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესი
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №45 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 09.12.2021
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ანალიზი და დასაბუთება
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №23 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ 08. 10.2021
7. ურთიერთთანამშრომლობის მემეორანდუმი შპს „გარდენიასთან“ 14.04.2019
8. ურთიერთთანამშრომლობის მემეორანდუმი სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთან 17.04.2019
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №47 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ 09.12. 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

10. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის კატალოგები
11. ბიბლიოთეკით სარგებლობისა და წიგნადი ფონდის მოძრაობის ჩანაწერები
12. მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია
13. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები
14. პერსონალთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.** პსდ-ს ხარისხის მართვის მექანიზმები ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელსა და დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირზე. პსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს ინდივიდუალური რეგულაციის სახით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“. დოკუმენტის მიზანია, პსდ-ში ხარისხის მართვის ერთიანი პოლიტიკის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შემუშავებული პროცედურის თანახმად, ხარისხის მართვის სამსახური წინასწარ დადგენილი კითხვარების (საერთო კითხვარი პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; მოდულის შეფასების კითხვარი პროფესიული სტუდენტისათვის; მოდულის შეფასების კითხვარი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; კურსდამთავრებულის კითხვარი; დამსაქმებლის კითხვარი) გამოყენებით ახორციელებს დაინტერესებული მხარეების კვლევას. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ასევე ინტერვიურებას, პროცესზე დაკვირვებას, შეხვედრებს ფოკუს ჯგუფებთან.

პსდ-ს შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და დაწესებულების პროცესების კონტროლს. პროფესიული სტუდენტების კვლევა ხდება ისეთ საკითხებთან მიმართებაში როგორიცაა პსდ-ს ინფრასტრუქტურა, საგანამანთლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესი, სტუდენტური სერვისები, მასწავლებლებისა და ადმინისტარციული პერსონალის შეფასება და სხვა. კურსდამთავრებულების კითხვარი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამით/შეძენილი ცოდნის-უნარების კმაყოფილებას/საკმარისობას დამსაქმებლის მოთხოვნებთან მიმართებით, დამატებითი განათლების საჭიროების და კარიერასთან დაკავშირებული საკითხებს (სწავლის გაგრძელება მაღალ საფეხურზე, დასაქმება); დამასქმებლის კითხვარი მოიცავს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა ძლიერ/სუსტ მხარეებზე, შეძენილი კომპეტენციების შესაბამისობას დამსაქმებლის/შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და სხვა. პსდ-ს მიერ სისტემატურად ხდება შემუშავებული ინსტრუმენტები/კვლევის მეთოდების რევიზია, მათი გაუმჯობესების მიზნით.

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იქნა დაინტერესებულ მხარეებთან, განხორციელებული გამოკითხვის შედგების ანგარიშები. მიღებული შედგების წარმოადგენს პროგრამების განვითარების საფუძველს. პს***დ-ს პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან***.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.** გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს პსდ-ს დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იქნა დაინტერესებულ მხარეებთან განხორციელებული გამოკითხვის შედგების ანგარიშები. რესპოდენტების მიერ, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები, შეფასებულია დადებითად. გარდა აღნიშნული მექანიზმებისა დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე ხარისხის მენეჯერის სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი და დამხმარე პროცესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

მონიტორინგს/შეფასებას, რომლის შედეგების ანალიზის საფუძვლზეც, ხარისხის უზრუნველყოფის მენჯერის მიერ ისახება საგანმანათლებლო პროგრამების/პროცესების გაუმჯობესების რეკომენდაციები/ღონისძიებები.

პსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრებით, გამოკითხვის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები არ განხორციელებულა, თუმცა ადგილი ჰოქნდა სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული აქტივობების განხორციელებას (იხ. ინდიკატორების აღწერა 3.1.1.(3) და 3.2.1.(5)).

პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებითა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი მექანზმები, რომლებითაც უზრუნველყოფილია **პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №36 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“ 06.12.2021
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №48 „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი“, 10.12.2021
3. პსდ-ს ხარისხის მენეჯერის ანგარიშები (ოქმები:№1 29.06.2022; №2 29.06.2022)
4. პსდ-ს ხარისხის მენეჯერის ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ;
5. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარები;
6. სტუდენტური სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
7. პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად,*** რასაც მოწმობს პსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულის საკონტაქტო, დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით (კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს). საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია სწავლის შედგებით გათვალისწინებული კომპეტენციის მიღწევისთვის საჭირო ლოგიკური თანმიმდევრობა.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პსდ-ს მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტინგენტისთვის. გეგმა ქართულენოვანი კონტინგენტისთვის გაწერილია 54 სასწავლო კვირაზე, ხოლო არა ქართულენოვანი კონტინგენტისთვის - 80 სასწავლო კვირა. ვიზიტის დროს განხილული იქნა ასევე სასწავლო ცხრილები (განთავსებულია ასევე პსდ-ს ვებ გვერდზე), მათი დაგეგმვა შესაბამისია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის.

   ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.** პსდ-ში შემუშავებულია სხვადასხვა შიდა რეგულაცია („სტუდენტის მიღწევების წესი“, „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“, „ფორმალური განათლების აღიარების წესი“ და სხვა) რომლებითაც გათვალისწინებულია სტუდენტის ინტერესები, და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დოკუმენტების ძირითადი მიზანი არის სტუდენთა საჭიროებებზე მოქნილად რეაგირება, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისიწინებით საკითხთა გადაჭრა და მათთვის ხელსაყრელი პირობების შეთავაზება.

კოლეჯი მუდმივად ცდილობს გაითვალისწინოს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. რაც ექსპერტებთან გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმაც დაადასტურეს. აღნიშნულ საკითხს ადასტურებს ფაქტიც, რომ პანდემიის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე, კოლეჯმა პროფესიული სტუდენტების და განმახორციელებელი პირების საჭიროებების (ინტერნეტთან წვდომა, IT უნარების ფლობა, დისტანციური სწავლების პლატფორმების მართვის ფლობა) გათვალისწინებით განახაორციელა შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებები, რის საფუძველზეც წარმატებით განახორციელა მოდულები დისტანციურ რეჟიმში. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების განმარტებით, კოლეჯის მხრიდან, ასევე საჭიროების შემთხვევაში, შეუზღუდავად ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები, კონსულტაციები, მეცადინეობები პროფესიული სტუდნეტებისთვის, რომელთა ორგანიზებასაც ახორციელბეს როგორც სასწავლო პროცესის მენეჯერი, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლები.

პსდ-ს აქვს ისგ-ს შემუშავების წესი, რომლის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტის ან/და კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით, უზრუნველყოფს მის საჭიროებაზე მორგებულ ისგ-ს შემუშავებას. პსდ-ს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექაზნიმები ითვალისწინებს და ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების ინეტრესების დაცვაზე.

შემოწმებისა და პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ პსდ-ს არ აქვს ისგ-ს შემუშავების პრაქტიკა, რადგან ასეთი გარემოება არ დამდგარა, თუმცა პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ისინი იცნობენ შიდა რეგულაციებს, პსდ მხარდაჭერის მექანიზმებს და ინკულზიური განათლების თავისებურებებს.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.** სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე, მექანიზებული ხელასწყო-მოწყობილობები. ასევე აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო ელ-რესურსები (სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები, შესრულებული პროექტები და სხვა). დაწესებულება თავად უზრუნველყოფს უახლესი სასწავლო და დარგობრივი ლიტერატურის თარგმანს. მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ფოტო-ვიდეო მასალების ჩვენება-განხილვა, ჯგუფურად დავალებების/პროექტების შესრულება, პრაქტიკული თუ კრიტიკული შემთხვევების განხილვა და სხვ. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგის ლიდერი დაწესებულება, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. დარგობრივი და საერთაშორისო სიახლეების გაზიარებისა და სასწავლო პროცესში დანერგვის მიზნით, პსდ პერიოდულად ახდენს დარგის უცხოელი წამყვანი სპეციალისტების მოწვევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები,** ამ მიზნით პსდ-ს რეგულაციებით შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მართვა, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიული სტუდნეტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისით, როგორიცაა მობილობის/სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზება, პროფილური სპეციალისტების ჩართვა, კონსულტაციების ორგანიზება, ადაპტირებული სასწავლო რესურსის შემუშავება და ა.შ.

პსდ-ს პერსონალის განმარტებით და წაემოდგენილი დოკუმენტებით, აღნიშნული სერვისების პრაქტიკა (ისგ-ს შემუშავება, პროფესიულ სტუდენტთა მობილობა) არ დასტურდება, თუცა კურსდამთავრებულებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ადმინისტრაცია და პროფესიული განათლების მასწავლებლები, უწყვეტ რეჟიმში უწევდნენ დახმარებასა და კონსულტაციებს პროფესიულ სტუდენტებს. კონსულტაციის მიწოდების მიზნით პსდ გამოყოფს სივრცეს/საათებს ჯგუფური და დამატებითი მეცადინეობებისთვის. შეხვედრები იგეგმება ონლაინ ფორმატშიც.

ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი რეგლაციებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე, დაწესებულებას აქვს რესურსი, რომ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მოთხოვნების/საჭიროებების სასწავლო პროცესში გათვალისწინება. იხ. ასევე 2.4.1.(2) ინდიკატორის აღწერა.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით**. პსდ-ს სასწავლო გარემოში მოწყობილი ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას, თუმცა, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, გაფრომებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთან და შპს „გარდენიასთან“. მემორანდუმები უვადოა და მის ძირითად საგანს წარმოადგენს, რომ მხარეები ითანამშრომლებენ პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პრქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებში. მემორანდუმები არ ითვალისწინებს სახელშეკრულებო პირობების დეტალებს (დასაშვები კვოტა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოების მოთოხვნები), თუმცა აღსანიშნია, რომ პრატიკული კომპონენტის განხორციელების რესუსრი, სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების ფარგლებში. ამასთან პრაქტიკის ობიექტიებს თავად აქვთ ინეტერსი პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე. პრაქტიკის ობიექტებდან საქართველოს საპატრიარქო არის კოლეჯის დამუძნებელი, ხოლო შპს „გარდენიას„ დირექტორი, ამავდროულად პსდ-ს დირექტორიცაა. დირექტორი წესდების თანახმად დანიშნულია უვადოდ (მუხლი 8. პ.2).

განვთარების რეკომენდაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს მემორანდუმების საფუძველზე შეთანხმების/ხელშეკრულების გაფორმება პროგრამის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების (დასაშვები კვოტა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოების მოთხოვნები და სხვა) გათვალისწინებით.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.** რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის პირი. პსდ-ში უზრუნველუყოფილია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და შესაბამისი კვალიფიკაციის პირები, მოწყობილია პირველადი დახმარებისთვის შესაბამისი სივრცე. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ-ში დაცულია შრომის უსაფრთხოების პირობები. დაწესებულების მთელ სივრცეში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები), გამოკრულია ევაკუაციის გეგმები და პრაქტიკის განხორციელების ადგილზე განთავსებულია უსაფრთხოების წესები. საგანმანთლებლო პროგრამაზე დაშვებამდე, შესაძლო გართულებების თავიდან არიდების მიზნით, ხდება პროფესიული სტუდენტების ანკეტირება, ე.წ.ანამნეზის შეგროვება ალერგიასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

იხ. ასევე 5.1.1. (7) ინდიკატორის აღწერა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №22 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“, 08.10.2021
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №27 „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“, 30.12.2020
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №48 „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი“, 10.12.2021
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №34 „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის დებულება“ 06.12.2021
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის წესდება
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №23 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ 08. 10.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (№ 1997444, 20.07.2022) დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ
8. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი N 01.17.01.005.007)
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზები;
10. ქონების შესყიდვების და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
11. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი
12. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (№01870844, 08.07.2022) პსდ-ს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ
13. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის საგანგებო მართვის გეგმა (ბრძანება №21, 12.07.2022)
14. ფაქტობრივი გარემოება და პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. აღნიშნული პრონციპების უზრუნველყოფისათვის.*** პსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი და მისი ადმინისტრირების მექანიზმები, რომლებიც ემყარება შეფასების აღიარებულ პრინციპებს. წესი მოიცავს განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების ადმინსიტრირების საკითხებს.

   წესის თანახმად პროფესიულ სტუდენტს შეფასება ეცნობება 5 სამუშაო დღის ვადაში. უარყოფითი შედეგის დადგომისას, პირს დამატებით ერთხელ აქვს გასვლის უფლება განმსაზღვრელ შეფასებაზე. ხოლო აპელაციის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 დღისა, წერილობითი საჩივარი წარადგინოს კოლეჯის კანცელარიაში, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელს. დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში გეგმავს და წარმართავს განმეორებითი შეფასების პროცესს მასწავლებელთან შეთანხმების საფუძველზე. აპელაციის პროცედურით განსაზღვრულია გონივრული ვადები. პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილია მოითხოვოს ასევე შემფასებელი პირის შეცვლა.

   პსდ-ს წარმომადგენელთა განმარტებით, საგანმნათლებლო პროგრამის განხორციელბის ფარგლებში, აპელაციას ადგილი არ ჰქონია.

   <u>წესი მოიცავს შემდეგი შინაარსის ჩანაწერს, რომ ზოგადი ხასიათის წერილობით საჩივარს, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არაა განმარტებული საკითხი, საჩივარი არ განიხილება. ასევე „გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“. წესში არსებული დებულება ეწინააღმდეგება ხარისხის მართვის პრინციპებს, დაწესებულება ვალდებულია, ნებისმიერ შემთხვევაში განიხილოს საჩივარი და მოახდინოს მასზე რეაგირების/გადაწყვეტილების დოკუმენტირება. ამასთან პროფესიული სტუდენტი უფლებამოილია, აპელაციის განხილვის შესახებ, დაწესებულების მიერ მიღებული, ნებისმიერი გადაწყვეტილება გაასაჩივროს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. შეფასების პროცედურებზე, გამოცდაზე ქცევისა და უსაფრთხოების წესების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას ახდენს მოდულის გამნახორციელებელი/შემფასებელი პირი.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით, რამდენად არის პსდ-ს შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები შიდა რეგულაციის დადგენილი სტრუქტურის შესაბამისია, მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე. წარმოდგენილი შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი. კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით ხორციელდებოდა და შეფასებისას დაცული იყო მათი ინტერესები.

<u>**განვითარების რეკომენდაცია**</u>

პსდ-ს პროცედურაში „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ - კორექტირდეს გასაჩივრებასთან დაკავშირებული დებულებები.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს** (მუხლი 4). ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესუსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი. პსდ-ს მიერ ასევე შემუშავებულია ვერიფიკაციის პროცესის სამოქმედო გეგმა (2021-2023).

   პსდ-ს შიდა ვერიფიკაციის სიტემა მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. წესის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ადგენს სასწავლო წლის განმავლობაში ვერიფიკაციის გეგმას. ხარისხის მენეჯერის ფუნქციასვე წარმოადგენს ვერიფიკატორთ შერჩევა-ინსტრუქტაჟი და ინსტრუმენტების შერჩევა. მასვე ევალება ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის მომზადება-განხილვის ორგანიზება და გაცემული რეკომენდციების შესრულების მონიტორინგი.

   ვიზიტს ფარგლებში შესწავლილი იქნა პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტები და ანგარიში. ვერიფიკატორების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ შეფასების ინსტრუმენტები სწავლის შედგებთან მიმართებით შეფასდა რელევანტურად. ვერიფიკაცია ასვე მოიცავდა პროფესიული სტუდეტების ინტერვიურებასაც. პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის ანგარიშის შედგებით, უშუალოდ ინსტრუმენტებთან ან შეფასების სამართლიანობასთან შენიშვნები არ დაფიქსირებულა. ვერიფიკატორთა შენიშვნები ეხება შეფასების პროცესს. გაცემული რეკომენდაციები გამოვლენილი შეუსაბამობების რელევანტურია. კერძოდ: ინტერვიურებისას შეფასებულ პირთა 80%-ის მხრიდან გამოითქვა შენიშვნა, რომ შეფასების წესების/პირობების შესახებ არ მომხდარა მათი ინფორმირება გონივრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ვადებში, ამასთან ინფორმაცია იყო ზეპირი ფორმით გადაცემული. ვერიფიკაციის ანგარიშში ასახულია შესაბამისი რეკომენდაცია - სტუდენტებს შეფასების დროის, თარიღის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოთ წერილობითი ფორმით გონივრულ ვადაში.

ვერიფიკაციის პროცესი ასევე მოიცავს მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკატორთა გადაწყვეტილებით შეფასების სისტემა და მტკიცებულებების აბსოლუტური უმრავლესობა უზრუნველყოფს სანდოობის, ავთენტურობის, საკმარისობის, ობიექტურობის პრინციპებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ფაქტობრივი გარემობების შესწავლით დასტურდება, რომ პსდ-ში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესი ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცესს, ამასთან ვერიფიკაცია ხორციელდება დაწესებულების მიერ შემუშავებული წესის თანახმად.

3. პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად.

   რაც შეეხება შეფასების უწყისებს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრებში. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

   დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. ***პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.*** - პსდ შეფასების სისტემა ეფუძნება არადიფერენცირებულ შეფასების სისტემას, კრედიტის მოპოვებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაასტუროს ყველა სწავლის შედეგი. შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. მათივე განმარტებით, შეფასების შედეგები ან ტიპური შეცდომები განზოგადებული სახით განიხილება ჯგუფში. პსდ-ს პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესს მუდმივად ახლავს თან, მათ შორის განმსაზღვრელი შეფასებასაც ერთგვარი განმავითარებელი დატვირთვა აქვს, პროფესიული განათლების მასწავლებლის უკუკავშირიდან გამომდინარე. მასწავლებლის მიერ ხდება შედგების ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა კომპეტენციების განვითარების მიზნით. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასაწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ როგორც პირისპირ, ისე ონლაინ კონსულტაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №18 „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“, 07.05.2019
2. ვერიფიკაციის ანგარიში 2022 წ.
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ვერიფიკაციის პროცესის სამოქმედო გეგმა 2021-2023
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები
5. შეფასების უწყისები და აღრიცხვის ჟურნალები
6. პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ „ბაღის დიზაინი“

პროგრამის სახელწოდება	**ბაღის დიზაინი**
პროფესიული განათლების დონე	მე-4
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ქვემო „ელია“-ს დასახლება, წმინდა „სამების“ საკათედრო ტაძრის კომპლექსი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	34
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.***

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 დეკემბერის №40 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა-შემუშავებისა და დაგეგმვის საკითხებს. მეთოდოლოგიის თანახმად, კოლეჯში პროგრამის სემუშავება ხდება საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შემუშავების და ავტორიზაციისთვის მომზადების მიზნით, ხარისხის მართვის სამსახურის წარდგინებით, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, რომელშიც შედიან: ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელი, დარგის სპეციალისტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დირექციის წარმომადგენლები, სასწავლო პროცესის სამსახური.

სამუშაო ჯგუფი პროგრამის შემუშავების პროცესი ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორს: დარგის სპეციალისტთა მიერ განსაზღვრულ საჭიროებებს, საკანონმდებლო ცვლილებებს და ა.შ. სამუშაო ჯგუფი ახდენს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამისა და მოდულების ადაპტირებას კოლეჯის ინფრასტრუქტურასთან, მატერიალურ, საგანმანათლებლო და ადამიანურ რესურსებთან, ქმნის სასწავლო გეგმას, არჩევს საჭირო მასალას და შესათანხმებლად/შესაფასებლად წარუდგენს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს. შენიშვნებისა და რეკომენდაციების შემთხვევაში, პროგარმის პროექტი უბრუნდება სამუშაო ჯგუფს, შემდგომი დამუშავებისთვის, ხოლო შენიშვნების არქონის შემთხვევაში, წარედგენება დირექტორს დასამტკიცებლად.

პსდ-ს დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ დამტკიცებულია და წარმოდგენილია სასწავლო დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციების შეაბამისად.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულება განიხილავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

— კოლეჯის მისია, რომელიც ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და ეკოლოგიური ცნობიერების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. ასევე სამოქმედო გეგმები სტრატეგიული მიზნები, ამ დარგის მიმართულებით პსდ-ს მიერ სწავლების გამოცდილება, რომლის საფუძვეზეც კოლეჯი კვლავაც შეძლებს წარმატებით მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები აღნიშნულ სფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური ადამიანური რესურსი: პროფესიული მასწავლებლები (როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირები) და ადმინისტრაციული პერსონალი.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი არსებული რესურსები (მატერიალური, საგანმანათლებლო) მოწყობილი სასწავლო გარემო და ინფრასტრუქტურა.
- პროფესიული პროგრამის მიმართ მუდმივად მაღალი ინტერესი (მსურველთა რაოდენობა უმრავლეს შემთხვევაში აღემატება მისაღები ადგილების რაოდენობას) და დამსაქმებელთა მოთხოვნა კვალიფიციურ კადრზე. დაწესებულების კვლევის მიხედვით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა 70 % დასაქმებულია ამავე სფეროში.
- დაწესებულებას საპატრიარქოს მხრიდან კოლეჯის საწესდებო მიზნებისთვის, სასწავლო დანიშნულებითა და მოვლის უფლებით გადაცემული აქვს წმ. სამების სამონასტრო კომპლექსის პარკი (106 820.00 კვ.მ), ბუკიას ბაღი, ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს გარდენიასთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პრაქტიკული ნაწილის წარმატებით გავლას.

ექსპერტთა რეკომენდაციით, სასურველია კოლეჯმა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას დაურთოს კვლევა ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც უფრო ნათლად აჩვენებს ამ დარგის სპეციალისტების საჭიროებას, დასაქმების შესაძლებლობას და დამსაქმებლების მოთხოვნებს. ასევე საინტერესო იქნება კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისობრივი მონაცემების ანალიზით.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აქვს როგორც მატერიალური, ადამიანური ისე ფინანსური რესურსი, ჰყავს პერსონალი და თანამშრომლობს პრაქტიკის შემდეგ ობიექტებთან: შპს“გარდენია“, სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

<u>**განვითარების რეკომენდაცია**</u>

სასურველია კოლეჯმა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას დაურთოს კვლევა ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც უფრო ნათლად აჩვენებს ამ დარგის სპეციალისტების საჭიროებას, დასაქმების შესაძლებლობას და დამსაქმებლების მოთხოვნებს. ასევე საინტერესო იქნება კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისობრივი მონაცემების ანალიზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.** პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც ჩარჩო დოკუმენტის (მებაღეობა/Gardening სარეგისტრაციო ნომერი 08111-პ) შესაბამისია.

საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისია ასვე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობებიც. კოლეჯს შემუშავებული აქვს შიდა რეგულაცია „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეწყვეტის წესი“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №42/ნ ბრძანების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს (02.07.2021).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით, პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც დასტურდება პსდ-ს დოკუმენტაციით. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულია ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.** პსდ-ს პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა კვოტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა/დატვირთა, A, B და C გარემოსათვის განკუთვნილი სივრცეები და მათი გამტარუნარიანობა, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის განკუთნილი მატერიალურ/ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალური მოთხოვნები (განხორციელების ფორმები, ხანგრძლივობა და ა.შ.), პროფესიულ სტუდენტთა გაზრდისას მათი გადანაწილებისა და ცვლებში სწავლების შესაძლებლობები. მეთოდოლოგიის თანახმად დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოსა და ტექნიკური აღჭურვილობასთან, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში (დღეში 12-საათიანი/კვირაში 60-საათიანი დატვირთვით).

პსდ-ს თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი, რის შემდეგ დოკუმენტი დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს, საგანმანათლებლო პროგრამის პროექტთან ერთად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პსდ-ს შემუშავებული მეთოდოლოგიის თანახმად განსაზღვრული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბაღის დიზაინი“ პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 85 კრედიტს. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება:

- A სასწავლო გარემო (ფართი 43.98 კვ.მ) - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 20;
- B სასწავლო გარემო (ფართი 30,98 კვ.მ) - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -17;
- თეორიული მეცადინეობისათვის გამოყოფილია აუდიტორია №3, რომელიც პროგრამის ფარგლებში დატვირთული იქნება 80%-ით. პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაციული წიგნიერება ტარდება №4 აუდიტორიაში, რომლის გამტარიანობა კვირაში არ აღემატება 40 საათს, საჭიროებისას, ორი ცვლის შემთხვევაში შესაძლებელია კვირეული 60 საათიანი დატვირთვაც.
- C სასწავლო გარემო - სასწავლო მიწის ნაკვეთი (ფართი 106 820.00 კვ.მ) - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 100;
- ადამიანური რესურსი - მებაღეობა - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 20-ს, მ.შ. 17 დარგობრივი მოდულებისაა.

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მოდულს “კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCad”, რომელიც ხორციელდება B სასწავლო გარემოში, პსდ-ს ადმინისტრაციის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ***„ბაღის დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის კონტინგენტი განისაზღვროს 34 პროფესიული სტუდენტით (2X17).***

პსდ-ს მიერ ასევე წარმოდგენილია სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთან (ბუკიას ბაღი) და შპს „გარდენიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების შესახებ. პრაქტიკის ობიექტებს, შეუძლიათ მიიღონ პროგრამაზე განსაზღვრულ პროფესიული სტუდენტების რაოდენობა;

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.** საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, სასწავლო მიწის ნაკვეთით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პსდ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული აღჭურვილობა აღემატება და უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ჩარჩო დოკუმენტითაა გათვალისწინებული. რაც შეეხება სასწავლო რესურსებს, კოლეჯის ბიბლიოთეკაში არის კოლეჯის თანამშრომლების მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი უნიკალური სახელმძღვანელოები და მასალები. წარმოდგენილია ასევე მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები (ჰერბარიუმები, კატალოგები).

საგნმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5. **საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.**

6. ***საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის,*** კოლეჯის დირექტორის მიერ. აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების წესდებითა (მუხლი 8. პ.4 „ბ“) და დებულებით (მუხლი 8. პ.3 „ბ“). **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგიის“** თანახმად საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების უფლებამოსილება აქვს პსდ-ს დირექტორს. ცვლილების წესი, დამტკიცების პროცედურის ანალოგიურია.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ დამტკიცებულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება №17 03.05.2019), ხოლო ცვლილება განხორციელებულია პსდ-ს დირექტორის 2022 წლის 4 მაისის №13 ბრძანებით (ცვლილებები განპირობებულია რეავტორიზაციისთვის პროგრამის დანართებში რესურსების განახლება-გაუმჯობესებას).

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.** საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ შემუშავებულია პროფესიული საგანამანათლებლო სტანდარტის „მებაღეობა“ საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან, მისაღწევ სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში/Secondary Vocational Qualification in Horticulture).

   პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების. პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, პროგრამის ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები და სფერო, სტრუქტურა, მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების და კრედიტების მინიჭების მოთხოვნები, კვლიფიკაციის მინიჭების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების პირობები. ასევე ზოგადი, პროფესიული, კონცენტრაციის მოდულებისა და ქართული ენის (A2, B1) დანართებს, სასწავლო გეგმას (რომელიც ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებსა და პროფესიული სტუდენტის სასწავლო კვირეული დატვირთვისთვის დასაშვებ ნორმებს), ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახე, სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ (თანდართული დოკუმენტებით);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №40 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის მეთოდოლოგია 08.12.2021
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის წესდება
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №15 „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეწყვეტის წესი“, 07.07.2021
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №45 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 09.12.2021
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №12 „საზოგადოებრივი კოლეჯის შვიდწლიანი (2023-2029) სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ (03.05.2022)
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №1 „საზოგადოებრივი კოლეჯის ახალი საშტატო ნუსხის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და ხარისხის მართვის სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (10.01.2022).
10. პსდ-ს მისია
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ანალიზი და დასაბუთება;
12. პერსონალთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

პსდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ბაღის დიზაინი“ ახორციელებს მისამართზე: ქ.თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, წმინდა სამების საკათედრო კომპლექსი. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (34 პროფესიული სტუდენტი), გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი და სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურა. პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯის მფლობელობაშია შემდეგი სივრცეები და რესურსი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

A - სასწავლო გარემო - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 20; აუდიტორიებში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - მონიტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი.

B სასწავლო გარემო - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -17; განთავსებულია მაგიდა და სკამი 17 სამუშაოა დგილი პროფესიული სტუდენტისათვის, სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, 17 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი.

C - სასწავლო გარემო - სასწავლო მიწის ნაკვეთი (ფართით 106 820.00 კვ.მ) - კოლეჯის ეზოში არსებული სანერგე, დეკორატიულ კუნძულები, სათბური. სამების სამონასტრო კომპლექსის ეზოში, დეკორატიული ბაღის გასაშენებლად გამოყოფილი ცარიელი მიწის ნაკვეთები. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 100 (პროგრამის მიზნებისთვის 34);

პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები - შპს „გარდენიასა“, სსიპ „საქართველოს საპატრიარქოსთან“, მხარეები ადასტურებენ, რომ ითანამშრომლებენ პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების საკითხებზე უვადოდ. სადაც შესაძლებელია განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულები საჭიროების მიხედვით, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისას პროფესიულ სტუდენტთათვის ხელმისწავდომია ორივე ობიექტის როგორც ფართი, ისე სასწავლო/სამუშაო რესურსი, პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, მემორანდუმი გაფორმებულია პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნებისათვის. მემორანდუმში გაწერილია მხარეთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, რესურსებით უზრუნველყოფა და სხვა პირობები. მემორანდუმის პირობები არ არღვევს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს.

პსდ-ს კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდნეტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სწავლის პერიოდში პროფესიულ სტუდენტთათვის უზრუნველყოფილი იყო როგორც კოლეჯის, ისე პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე ბაღის დიზაინის პროფესიული პროგრამისთვის პსდ-ს გამოყოფილი აქვს თეორიული მეცადინეობისათვის 1 აუდიტორია (აუდიტორია №3), რომელიც დატვირთული იქნება 80%-ით. პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაციული წიგნიერება ტარდება B სასწავლო გარემოში (აუდიტორია №4), რომლის გამტარიანობა კვირაში არ აღემატება 40 საათს. საჭიროებისას, ორი ცვლის შემთხვევაში შესაძლებელია კვირეული 60 საათიანი დატვირთვა. სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვისა და საჭიროებისას დისტანციური სწავლების ფორმატის, ასევე შეჭრილი ცხრილის შედგენის შესაძლებლობების გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. „ბაღის დიზაინი“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას შერჩეული ჰყავს 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, ზოგადი მოდულისათვის - 3, დარგობრივი მოდულებითვის - 17. თითოეული მოდულის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი.

ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა სასწავლო გეგმა, ცხრილები, პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. განმახორციელებელ პირებს გავლილი როგორც ადგილობრივი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ისე უცხოეთში დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერების მიზნით. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული გნათლების მასწავალებლები ჩართულები იყვნენ ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამისთვის სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში.

პსდ-ს რეგულაციით განსაზღვრულია პროგრამის განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო და თანამდებობრივი მოთხოვნები, რომელთა თანახმად, პროფესიული პროგრამის განამახროციელებლ პირს უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან პროფესიით მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება.

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. მათი კვალიფიკაცია პსდ-ს მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4. საგანმანათლებლო ***<u>პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.</u>*** პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, განსაზღვრავს პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტებს, ზრუნავს პროგრამის შინაარსსა და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის, ხოლო, სასწავლო პროცესის მენჯერთან ერთად, ჩართულია შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცესებში. პროგრამის განხორციელებისას კომუნიკაცია აქვს პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ყოველკვირეულად პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, განიხილავს სტუდენტთა დასწრების ჟურნალს, პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს შესაბამისი ღონისძიების გატარების მოთხოვნით.

პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.** პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში. ვებ-გვერდზე განთავსებულია ელკატალოგი (ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი).

ვიზიტის ფარგლებში შერჩევითი წესით გადაამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით. კოლეჯს გაციფრულებული აქვს სასწავლო რესურსი და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მომხმარებელს ელექტრონულ ფოსტაზე ეგზავნება სასურველი სახელმძღვანელო/მასალა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსებით სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასებისა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით დასტურდება რომ პსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. პსდ შემუშავებული აქვს მექანიზმები, სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურების შეთავაზების, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა. პსდ-ს შიდა რეგულაციებით გათვალსიწინებულია სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება. რეგულაციები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

პსდ-ს პერსონალის განმარტებით, დაწესებულებას სსსმ/შშმ პირები არ ჰყოლია, თუმცა შემუშავებული რეგულაციები და დაწესებულების მიდგომები, ასეთი საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ***სსსმ პირების წვდომას პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.***

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**. ფინანსურად მდგრადია საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტი მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროგრამული და სუფსიდირებული დაფინანსება. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი კლასფიცირებულია შემდეგნაირად: ხელფასი, მასალა-ნედლეული და სხვა ხარჯი, რაშიც პსდ მოიაზრებს ადმინისტრაციული და კომუნალურ ხარჯებს. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარჯები იყოს უფრო დეტალიზებული, მათ შორის გათვალისიწნებული იყოს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის და ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 10 პროფესიული სტუდენტი. პროგრამისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამის ბიუჯეტისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ **კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

<u>**განვითარების რეკომენდაცია**</u>

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარჯები იყოს უფრო დეტალიზებული, მათ შორის გათვალისწნებული იყოს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის და ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ხარჯები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ (თანდართული დოკუმენტებით ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსების შესახებ);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესი
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №45 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 09.12.2021
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ანალიზი და დასაბუთება
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №23 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ 08. 10.2021
7. ურთიერთთანამშრომლობის მემეორანდუმი შპს „გარდენიასთან“ 14.04.2019
8. ურთიერთთანამშრომლობის მემეორანდუმი სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთან 17.04.2019
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №47 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ 09.12. 2021
10. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის კატალოგები
11. ბიბლიოთეკით სარგებლობისა და წიგნადი ფონდის მოძრაობის ჩანაწერები
12. მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია
13. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები
14. პერსონალთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.** პსდ-ს ხარისხის მართვის მექანიზმები ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელსა და დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირს. პსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს ინდივიდუალური რეგულაციის სახით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“. დოკუმენტის მიზანია, პსდ-ში ხარისხის მართვის ერთიანი პოლიტიკის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვას, მის შეფასებასა და მუდმივ განვითარებას.

შემუშავებული პროცედურის თანახმად, ხარისხის მართვის სამსახური წინასწარ დადგენილი კითხვარების (ზოგადი კითხვარი პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; მოდულის შეფასების კითხვარი პროფესიული სტუდენტისათვის; მოდულის შეფასების კითხვარი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; კურსდამთავრებულის კითხვარი; დამსაქმებლის კითხვარი) გამოყენებით ახორციელებს დაინტერესებული მხარეების კვლევას. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ასევე ინეტრვიურებას , პროცესზე დაკვირვებას, შეხვედრებს ფოკუს ჯგუფებთან.

შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დაფუძნებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირზე, პროცესების კონტროლზე და ითვალისწინებს: სტუდენტების კვლევას, ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა პსდ-ს ინფრასტრუქტურა, საგანამანთლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესი, სტუდენტური სერვისები, მასწავლებლებისა და ადმინისტარციული პერსონალის შეფასება და სხვა. კურსდამთავრებულების კითხვარი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამით/შეძენილი ცოდნის-უნარების კმაყოფილებას/საკმარისობას დამსაქმებლის მოთხოვნებთან მიმართებით, დამატებითი განათლებისა და კარიერასთან დაკავშირებული საკითხების (სწავლის გაგრძელება მაღალ საფეხურზე, დასაქმება) საჭიროება; დამასქმებლის კითხვარი მოიცავს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა ძლიერ/სუსტ მხარეებს, შეძენილი კომპეტენციების შესაბამისობას დამსაქმებლის/შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და სხვა. პსდ-ს მიერ სისტემატურად ხდება შემუშავებული ინსტრუმენტების/კვლევის მეთოდების რევიზია, მათი გაუმჯობესების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იქნა დაინტერესებულ მხარეებთან, განხორციელებული გამოკითხვის შედგების ანგარიშები. მიღებული შედგები წარმოადგენს პროგრამების განვითარების საფუძველს. ***<u>პსდ-ს პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან</u>***.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.** გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს პსდ-ის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იქნა დაინტერესებულ მხარეებთან განხორციელებული გამოკითხვის შედგების ანგარიშები. რესპოდენტების მიერ, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები, შეფასებულია დადებითად. გარდა აღნიშნული მექანიზმებისა დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე ხარისხის მენეჯერის სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი და დამხმარე პროცესების მონიტორინგს/შეფასებას, რომლის შედეგების ანალიზის საფუძვლზეც, ხარისხის უზრუნველყოფის მენჯერის მიერ ისახება საგანმანათლებლო პროგრამების/პროცესების გაუმჯობესების რეკომენდაციები/ღონისძიებები.

პსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრებით, გამოკითხვის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები არ განხორციელებულა, თუმცა ადგილი ჰოქნდა სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული აქტივობების განხორციელებას (იხ. ინდიკატორების აღწერა 3.1.1.(3) და 3.2.1.(5)).

პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებითა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი მექანზმები, რომლებითაც უზრუნველყოფილია **პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №36 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“ 06.12.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №48 „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი“, 10.12.2021
3. პსდ-ს ხარისხის მენეჯერის ანგარიშები (ოქმები:№1 29.06.2022; №2 29.06.2022)
4. პსდ-ს ხარისხის მენეჯერის ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ;
5. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარები;
6. სტუდენტური სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
7. პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად,** რასაც მოწმობს პსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. პროგრამას, დანართის სახით, თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება. გეგმაში ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით (კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს). საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია სწავლის შედგებით გათვალისწინებული კომპეტენციის მიღწევისთვის საჭირო ლოგიკური თანმიმდევრობა.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პსდ-ს მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტინგენტისთვის. გეგმა ქართულენოვანი კონტინგენტისთვის გაწერილია 56 სასწავლო კვირაზე, ხოლო არა ქართულენოვანი კონტინგენტისთვის 82 სასწავლო კვირა. ვიზიტის დროს განხილული იქნა ასევე სასწავლო ცხრილების, მათი დაგეგმვა შესაბამისია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის.

   ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.** პსდ-ში შემუშავებულია სხვადასხვა შიდა რეგულაცია („პროფესიული სტუდენტის მიღწევების წესი“, „შიდა და გარე მობილობის წესი“, „ფორმალური განათლების აღიარების წესი“ და სხვა), რომლებითაც გათვალისწინებულია სტუდენტის ინტერესები. დოკუმენტების ძირითადი მიზანი არის სტუდენთა საჭიროებების საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისიწნებით გადაჭრა და მათთვის ხელსაყრელი პირობების შეთავაზება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

კოლეჯი მუდმივად ცდილობს გაითვალისწინოს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. რაც ექსპერტებთან გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმაც დაადასტურეს. ამის დამადასტურებელია ასევე პანდემიის პირობებში კოლეჯის მიერ გატარებული ღონისძიებები. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე, კოლეჯმა პროფესიული სტუდენტების და განმახორციელებელი პირების საჭიროებების (ინტერნეტთან წვდომა, IT უნარების ფლობა, დისტანციური სწავლების პლატფორმების მართვის ფლობა) გათვალისწინებით, განახაორციელა შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძებები და წარმატებით განახორციელა მოდულები დისტანციურ რეჟიმში. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების განმარტებით, კოლეჯის მხრიდან ასევე საჭიროების შემთხვევაში, შეუზღუდავად ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები, კონსულტაციები, მეცადინეობები პროფესიული სტუდნეტებისთვის, რომელთა ორგანიზებასაც ახორციელებს როგორც სასწავლო პროცესის მენეჯერი, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლები.

პსდ-ს აქვს ისგ-ს შემუშავების წესი, რომლის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტის ან/და კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით, უზრუნველყოფს მის საჭიროებაზე მორგებულ ისგ-ს შემუშავებას. პსდ-ს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექაზნიმები ითვალისწინებს და ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების ინეტრესების დაცვაზე.

შემოწმებისა და პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ პსდ-ს არ არქვს ისგ-ს შემუშავების პრაქტიკა, რადგან აღნიშნული გარემოება არ დამდგარა, თუმცა პერსონალთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი იცნობენ შიდა რეგულაციებს, პსდ მხარდაჭერის მექანიზმებს და ინკულზიური განათლების თავისებურებებს.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.** სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე, მექანიზებული ხელასწყო-მოწყობილობები. ასევე აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო ელ რესურსები (სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები, პროექტები და სხვა), კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა - ArchiCAD-ი. დაწესებულება თავად უზრუნველყოფს უახლესი სასწავლო და დარგობრივი ლიტერატურის თარგმანს. მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინეტრაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ფოტო-ვიდეო მასალების ჩვენება-განხილვა, ჯგუფურად დავალებების/პროექტების შესრულება, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა და სხვ. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგის ლიდერი დაწესებულება, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. დარგობრივი და საერთაშორისო სიახლეების გაზიარებისა და სასწავლო პროცესში დანერგვის მიზნით, პსდ პერიოდულად ახდენს დარგის უცხოელი წამყვანი სპეციალისტების მოწვევას.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები,** ამ მიზნით პსდ-ს რეგულაციებით შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მართვა, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდნეტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზება, კონსულტაციების ორგანიზება, ადაპტირებული სასწავლო რესურსის შემუშავება და ა.შ.

პერსონალის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით, აღნიშნული სერვისების პრაქტიკა (ისგ-ს შემუშავება, მობილობა) არ დასტურდება, თუცა კურსდამთავრებულებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ადმინისტრაცია და პროფესიული განათლების მასწავლებლები, უწყვეტ რეჟიმში უწევდნენ დახმარებასა და კონსულტაციებს პროფესიულ სტუდენტებს პანდემიით გამოწვეული გარემოებებისა და შეზღუდებისას. კონსულტაციის მიწოდების მიზნით პსდ გამოყოფს სივრცეს/საათებს ჯგუფური და დამატებითი მეცადინეობებისთვის. შეხვედრები იგეგმება ონლაინ ფორმატშიც.

ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი რეგლაციებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ დაწესებულებას აქვს რესურსი, უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებზე/საჭიროებების სასწავლო პროცესში გათვალისწინება.
იხ. ასევე 2.4.1.(2) ინდიკატორის აღწერა.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით**. პსდ-ს სასწავლო გარემოში მოწყობილი ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას, თუმცა, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, გაფრომებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთან და შპს „გარდენიასთან“. მემორანდუმები უვადოა და მისი ძირითადი საგანი არის, რომ მხარეები ითანამშრომლებენ პროფესიული სტუდენტებისთვის, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პრქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებში. მემორანდუმები არ ითვალისწინებს სახელშეკრულებო პირობების დეტალებს (დასაშვები კვოტა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოების მოთხოვნები), თუმცა აღსანიშნია, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების რესურსი, სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების ფარგლებშიც. ამასთან პრაქტიკის ობიექტიებს თავად აქვთ ინეტერსი პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე. პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტებიდან საქართველოს საპატრიარქო არის კოლეჯის დამუძნებელი, ხოლო შპს „გარდენიას„ დირექტორი, თავადვეა პსდ-ს დირექტორი, რომელიც წესდების თანახმად, დანიშნულია უვადოდ (მუხლი 8. პ.2).

განვითარების რეკომენდაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს მემორანდუმების საფუძველზე შეთანხმების/ხელშეკრულების გაფორმება პროგრამის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტების (დასაშვები კვოტა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოების მოთხოვნები და სხვა) გათვალისწინებით.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით,** რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის პირი. პსდ-ში უზრუნველუყოფილია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და შესაბამისი კვალიფიკაციის პირები, მოწყობილია პირველადი დახმარებისთვის შესაბამისი სივრცე. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ-ში დაცულია შრომის უსაფრთხოების პირობები. დაწესებულების მთელ სივრცეში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები), გამოკრულია ევაკუაციის გეგმები და პრაქტიკის განხორციელების ადგილზე განთავსებულია უსაფრთხოების წესები. საგანმანთლებლო პროგრამაზე დაშვებამდე, შესაძლო გართულებების თავიდან არიდების მიზნით, ხდება პროფესიული სტუდენტების ანკეტირება, ე.წ. ანამნეზის შეგროვება ალერგიასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

იხ. ასევე 5.1.1. (7) ინდიკატორის აღწერა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №22 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“, 08.10.2021
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №27 „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“, 30.12.2020
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №48 „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი“, 10.12.2021
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №34 „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის დებულება“ 06.12.2021
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის წესდება
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №23 „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ 08. 10.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (№ 01997444, 20.07.2022) დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ
8. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი N 01.17.01.005.007)
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზები;
10. ქონების შესყიდვების და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
11. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი
12. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (№01870844, 08.07.2022) პსდ-ს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ
13. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის საგანგებო მართვის გეგმა (ბრძანება №21, 12.07.2022)
14. ფაქტობრივი გარემოება და პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

1. ***პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.*** აღნიშნული პრინციპების უზრუნველყოფისათვის, პსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებისა წესი, რომლებიც ემყარება აღიარებულ პრინციპებს. წესი მოიცავს განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების ადმინსიტრირების საკითხებსაც.

წესის თანახმად პროფესიულ სტუდენტს შეფასება ეცნობება 5 სამუშაო დღის ვადაში. წესის თანახმად პროფესიულ სტუდენტს უარყოფითი შედეგის დადგომისას დამატებით ერთხელ აქვს გასვლის უფლება განმსაზღვრელ შეფასებაზე, ხოლო აპელაციის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 დღისა, წერილობითი საჩივარი წარადგინოს კოლეჯის კანცელარიაში, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის, მომდევნო სამუშაო დღეს, გადაეცემა შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელს. დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში გეგმავს და წარმართავს განმეორებითი შეფასების პროცესს მასწავლებელთან შეთანხმების საფუძველზე. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ასევე შემფასებელი პირის შეცვლა.

პსდ-ს წარმომადგენელთა განმარტებით, საგნამნათლებლო პროგრამის განხორციელბის ფარგლებში, აპელაციას ადგილი არ ჰქონია.

<u>წესი მოიცავს შემდეგი შინაარსის ჩანაწერს, რომ ზოგადი ხასიათის წერილობით საჩივარს, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არაა განმარტებული საკითხი, საჩივარი არ განიხილება. ასევე „გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“. წესში არსებული დებულება ეწინააღმდეგება ხარისხის მართვის პრინციპებს, დაწესებულება ვალდებულია, ნებისმიერ შემთხვევაში განიხილოს საჩივარი და მოახდინოს მასზე რეაგირების/გადაწყვეტილების დოკუმენტირება. ამასთან პროფესიული სტუდენტი უფლებამოილია, აპელაციის განხილვის შესახებ, დაწესებულების მიერ მიღებული, ნებისმიერი გადაწყვეტილება გაასაჩივროს.</u>

შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. შეფასების პროცედურებზე, გამოცდაზე ქცევისა და უსაფრთხოების წესების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას ახდენს მოდულის გამნახორციელებელი/შემფასებელი პირი.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით, თუ რამდენად არის პსდ-ს შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილი ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები შიდა რეგულაციის დადგენილი სტრუქტურის შესაბამისია, მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი. კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით ხორციელდებოდა. შეფასებისას დაცული იყო პროფესიული სტუდენტის ინტერესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

<u>**განვითარების რეკომენდაცია**</u>

პსდ-ს პროცედურაში „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ - კორექტირდეს გასაჩივრებასთან დაკავშირებული დებულებები.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს** (მუხლი 4). ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი. პსდ-ს მიერ ასევე შემუშავებულია ვერიფიკაციის პროცესის სამოქმედო გეგმა (2021-2023).

   პსდ-ს შიდა ვერიფიკაციის სიტემა მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. წესის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ადგენს სასწავლო წლის განმავლობაში ვერიფიკაციის გეგმას. ხარისხის მენეჯერის ფუნქციასვე წარმოადგენს ვერიფიკატორთა შერჩევა-ინსტრუქტაჟი და ინსტრუმენტების შერჩევა. მასვე ევალება ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის მომზადება-განხილვის ორგანიზება და გაცემული რეკომენდციების შესრულების მონიტორინგი.

   ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტები და ანგარიში. ვერიფიკატორების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ შეფასების ინსტრუმენტები სწავლის შედგებთან მიმართებით შეფასდა რელევანტურად. ვერიფიკაცია ასვე მოიცავდა პროფესიული სტუდენტების ინტერვიურებასაც. პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის ანგარიშის შედგებით, უშუალოდ ინსტრუმენტებთან ან შეფასების სამართლიანობასთან შენიშვნები არ დაფიქსირებულა. ვერიფიკატორთა შენიშვნები ეხება შეფასების პროცესს. გაცემული რეკომენდაციები გამოვლენილი შეუსაბამობების რელევანტურია. კერძოდ: ინტერვიურებისას შეფასებულ პირთა უმრავლესობის მხრიდან გამოითქვა შენიშვნა, რომ შეფასების წესების/პირობების შესახებ არ მომხდარა მათი ინფორმირება გონივრულ ვადებში, ამასთან ინფორმაცია იყო ზეპირი ფორმით გადაცემული. ვერიფიკაციის ანგარიშში ასახულია შესაბამისი რეკომენდაცია - სტუდენტებს შეფასების დროის, თარიღის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოთ წერილობითი ფორმით გონივრულ ვადაში.

   ვერიფიკაციის პროცესი ასევე მოიცავს მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკატორთა გადაწყვეტილებით შეფასების სისტემა და მტკიცებულებების აბსოლუტური უმრავლესობა უზრუნველყოფს სანდოობის, ავთენტურობის, საკმარისობის, ობიექტურობის პრინციპებს.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ფაქტობრივი გარემობების შესწავლით დასტურდება, რომ პსდ-ში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესი ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცესს, ამასთან ვერიფიკაცია ხორციელდება დაწესებულების მიერ შემუშავებული წესის თანახმად.

3. პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, მათი მოპოვებიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

3 წლის ვადით. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება შეფასების უწყისებს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრებში. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. ***პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.*** პსდ შეფასების სისტემა ეფუძნება არადიფერენცირებულ შეფასების სისტემას, კრედიტის მოპოვებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაასტუროს ყველა სწავლის შედეგი. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. მათივე განმარტებით, შეფასების შედეგები ან ტიპური შეცდომები განზოგადებული სახით განიხილება ჯგუფში. პსდ-ს პერსონალსთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესს მუდმივად ახლავს, მათ შორის განმავითარებელი დატვირთვა აქვს განმსაზღვრელი შეფასებასაც, განხორციელებული უკუკავშირიდან გამომდინარე. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება შედგების ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა კომპეტენციების განვითარების მიზნით. პროფესიულ სტუდენტებთან და მასაწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უკუკავშირის მიზნით, აქტიურად იყენებენ როგორც პირისპირ, ისე ონლაინ კონსულტაციებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება №18 „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“, 07.05.2019
2. ვერიფიკაციის ანგარიში 2022 წ.
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ვერიფიკაციის პროცესის სამოქმედო გეგმა 2021-2023
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები
5. შეფასების უწყისები და აღრიცხვის ჟურნალები
6. პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	
პროფესიული განათლების დონე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	
პროგრამის განხორციელების ენა	
პროგრამის განხორციელების ადგილი	
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

23.11.2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: